ყვარლის მუნიციპალიტეტის „მედია ცენტრის“ გაზეთი
2019 წელი, 28 აპრილი, №8 (6493)

# ყვარელი

გამოდის 1932 წლიდან

ფასი 40 თეთრი

## გილოცავთ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს, გისურვებთ მშვიდობას, ჯანმრთელობას, ბედნიერებას, სიხარულს!




## ქრისტე აღსდგა!

ქრისტე აღსდგა მკვდრეთით და დაეცნენ ეშმაკნი ფეხთით.
სიცოცხლემ კი იმძლავრა და გაინავარდა...
ზეცას აიჭრა, კამარა შეკრა და ცად ამაღლდა.
მიუალერსა თოვლიან მთებს და ნათელ მთვარეს,
აქოჩრილ ზღვას, მაღალ ჩანჩქერს, გიჟმაჟ მდინარეს.
უკიდეგანო ვარსკვლავებით მოჭედილ ზეცას
და კაცთა მოდგმას, ღვთისგან შექმნილს, მოვლენილს ქვეყნად.
და მერე, მოკვდავთ მიეფარა... რწმენა შეჰმატათ.
დაიგუგუნა ქრისტეს მოძღვრებამ... რწმენა ემატათ.
მახარობლებმა ხალხს ახარეს წმინდა სამება,
ქრისტიანობამ ფრთები გაშალა, ზეცად ამღერდა.
სერაფიმები, ქერუბიმები გვიტკბობენ მღერით,
ხალხის გულები მახარობლებმა აავსეს რწმენით.
ქრისტიანობამ იმძლავრა და აღსდგა მკვდრეთით,
ბოროტნი ძალნი და ეშმაკნი დაეცნენ ფეხთით.

ნუნუ ლალიძე

## პროექტები, რომელთა განხორციელებაც ყვარლის მუნიციპალიტეტის მოსახლეობას ცხოვრების პირობებს გაუმჯობესებს



სოფელ შილდაში სასმელი წყლის ქსელის შეცვლისა და სათავე-ნაგებობების სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობს.

ალნიშნული პროექტი მოსახლეობის საჭიროებების გათვალისწინებით ხორციელდება და მისი ღირებულება 517 229 ლარს შეადგენს.



მიმდინარეობს სოფელ გრემში საბავშვო ბაგა-ბაღის რეაბილიტაცია, რომლის დასრულების შემდეგ ბავშვებს შეექმნებათ ყველა ის საჭირო პირობა, რომელიც მათი განვითარებისთვისაა აუცილებელი.

გრემში საბავშვო ბაგა-ბაღის მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოები მუნიციპალიტეტის მერმა და საკრებულოს თავმჯდომარემ დაათვალიერეს.



სოფელ გავაზში გზისა და სანიაღვრე არხების სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობს, რომელიც ყვარლის მუნიციპალიტეტის მერმა და საკრებულოს თავმჯდომარემ თანამშრომლებთან ერთად მოინახულეს.



ყვარლის მუნიციპალიტეტის მერმა და საკრებულოს თავმჯდომარემ თანამშრომლებთან ერთად ახალსოფელში საბავშვო ბაგა-ბაღისა და სასაფლაომდე მისასვლელი გზის მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოები დაათვალიერეს და ადგილობრივ მოსახლეობასთან მნიშვნელოვან საკითხებზე ისაუბრეს.

## ძალიან ვცდილობ არ დავკარგო ის ფესვები, რომლებიც ყვარელთან მაკავშირებენ



პროფესორი ნიკოლოზ (გივი) ანდრიაძე, საქართველოს ჰუმანიტარულ და სახელოვნებო მეცნიერებათა აკადემიის წევრი, აკადემიკოსი, დაიბადა 1943 წლის 2 აპრილს. პროფესიით ექიმი კარდიოლოგია. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტი (1960-1966).

1967 წელს მუშაობა დაიწყო თბილისის აკადემიკოს მ. წინამძღვრიშვილის სახელობის კარდიოლოგიის ინსტიტუტში უმცროსი მეცნიერ თანამშრომლის თანამდებობაზე. იმავე წელს იგი მიავლინეს მოსკოვში ალ. მიასნიკოვის სახელობის კარდიოლოგიის ინსტიტუტში, მიუკარდიუმის ინფარქტის განყოფილებაში აკადემიკოს ევგენი ჩაზოვთან.

1970 წელს მიანიჭეს მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი. დისერტაციის დაცვის შემდეგ მოსკოვიდან დაბრუნდა თბილისში და მუშაობა გააგრძელა კარდიოლოგიის ინსტიტუტში უმცროსი მეცნიერ თანამშრომლის თანამდებობაზე. 1972 წელს დანიშნეს ინსტიტუტის სწავლულ მდივნად. 1975 წელს აირჩიეს ინსტიტუტის მიოკარდიუმის ინფარქტის განყოფილების უფროს მეცნიერ თანამშრომლად.

1980-1985 წლებში, საქართველოს ტელევიზიის საინფორმაციო პროგრამა „მოამბეში“ იყო „სამედიცინო გვერდის“ წამყვანი; 1982-1985 წლებში გაზეთ „ვეჩერნი თბილისის“ შტატგარეშე კორესპონდენტი.

1998 წელს დანიშნეს კარდიოლოგიის ინსტიტუტის ინტენსიური თერაპიისა და რეანიმაციის განყოფილების ხელმძღვანელად.

1990 წელს მოსკოვში, ალ. მიასნიკოვის სახ. კარდიოლოგიის ინსტიტუტში მიანიჭეს მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი. ნიკოლოზ ანდრიაძეს გამოქვეყნებული აქვს 63 სამეცნიერო ნაშრომი საქართველოსა და უცხოეთში. კარდიოლოგიის აქტუალურ საკითხებზე გამოსცა 5 მეთოდური რეკომენდაცია. მისი ხელმძღვანელობით მომზადდა 5 საკანდიდატო დისერტაცია.

2005 წლიდან შპს „კარდიო-რეანიმაციული ცენტრის“ დირექტორია. არის აკადემიკოს ნიკოლოზ ყიფშიძის სახელობის ცენტრალური საუნივერსიტეტო კლინიკის კარდიოქირურგიის დეპარტამენტის კონსულტანტი და სახელმწიფო დაწესებულებებთან ურთიერთობის ხელმძღვანელი.

გივი ანდრიაძე ტიციან ტაბიძის ერთადერთი შვილის – ნიტას (ტანიტას) ვაჟია.

გივი მისთვის დედის მიერ შერქმეული ნათლიის გივი დოლიძის სახელია, თორემ სახელოვან მამულიშვილს „ოფიციალურად“ ბაბუის სახელი – ნიკოლოზი ჰქვია. მისი ბაბუა, ნიკოლოზ ანდრიაძე, გამოჩენილი ქართველი ინფექციონისტი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი,

გაგრძელება მე-4 გვ. -ზე

# აღდგომა, სააღდგომო ტრადიციები

უდიდესი ქრისტიანული დღესასწაული აღდგომა ახალი სტილით 4 აპრილსა და 8 მაისს შორის პერიოდში აღინიშნება.

325 წელს ნიკეის პირველი მსოფლიო საეკლესიო კრების გადაწყვეტილებით, დღესასწაულის თარიღის გამოთვლა გაზაფხულის ბუნიობის (დღისა და ღამის თანასწორობა) მიხედვით ხდება.

ბუნიობის შემდეგ, სავსე მთვარის მომდევნო კვირას მორწმუნეები აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს ზეიმობენ.

აღდგომას წინ ყველაზე დიდი და მძიმე, 40 დღიანი მარხვა უსწრებს.

დღესასწაულის შესახვედრად განსაკუთრებული მნიშვნელობა ბოლო კვირას ენიჭება.

აღდგომამდე ერთი კვირით ადრე ბზობა – ანუ ქრისტეს იერუსალიმში დიდებით შებრძანება იზეიმება.

ორშაბათიდან კი ვნების კვირეული იღებს სათავეს.

ვნების კვირეულში თითოეული დღე გარკვეული მნიშვნელობის მატარებელია. განსაკუთრებით გამოყოფენ ხუთშაბათს – საიდუმლო სერობის დღეს, როდესაც მაცხოვარი ზიარების საიდუმლოს აწესებს და წითელ პარასკევს – ქრისტეს ჯვარცმის დღეს.

ეს ყველაზე მძიმე დღეა თითოეული ქრისტიანისათვის.

პარასკევობით წითლად ღებავენ კვერცხებს, რაც მაცხოვრის მიერ ჩვენთვის დაღვრილი სისხლის სიმბოლოა.

ვნების კვირეულის მძიმე დღეების დაგვირგვინებად კვირა – მაცხოვრის ბრწყინვალე აღდგომის დღესასწაული იქცევა.

დღე, რომელიც ნებისმიერი მორწმუნესათვის უდიდესი სიხარულის მომტანია.

აღდგომის დღესასწაულის ისტორია

დღესასწაული უკავშირდება იესო ქრისტეს მკვდრეთით აღდგომას.

აღდგომა 12 საუფლო დღესასწაულს შორის ყველაზე მნიშვნელოვანია.

ქრისტიანული გადმოცემების თანახმად, ჯვარცმის შემდეგ, მაცხოვარი სწორედ ამ დღეს აღსდგა მკვდრეთით და ადამიანები პირველქმნილი ცოდვისგან დაიხსნა.

აღდგომას წინ უძღვის ბზობის დღესასწაული და ლიტონიობა.

მსოფლიოს სხვა და სხვა ქვეყანაში, აღდგომას სხვადასხვავაგვარად აღნიშნავენ.

საერთო და უცვლელია მხოლოდ კვერცხების წითლად შეღებვის ტრადიცია, რომლის თანახმადაც სააღდგომო კვერცხები წითლად, წითელ პარასკევს მზის ჩასვლამდე იღებება.

კვერცხის შესაღებად ძირითადად ბუნებრივ საღებავს, ენდროს იყენებენ და ზოგჯერ ხახვის ფურცლებსაც უმატებენ.

თანამედროვე საქართველოში, სხვა და სხვა კუთხის სააღდგომო ტრადიციები ერთმანეთს დაემსგავსა, თუმცა წარსულში განსხვავება თვალშისაცემი იყო.

ამ დღესასწაულს ჩვენი ქვეყნის სხვა და სხვა კუთხის წარმომადგენლები სხვადასხვაგვარად აღნიშნავდნენ.

რაჭაში სააღდგომო წირვიდან დაბრუნების შემდეგ პურის ფაფას აკეთებდნენ.

თონეში ლავაშებს აცხობდნენ.

წირვის შემდეგ მღვდელი თითოეულ ოჯახს ჩამოუვლიდა და აკურთხებდა.

ახალი მიცვალებულის პატრონი სააღდგომოდ ცხვარს კლავდა, ცხვრის თავ-ფეხს, ბარკალს, ლავაშს, შეკეცილს ლანგარზე დააწყობდა და მღვდელს შინ მიართმევდა.

აღდგომის მეორე დღეს „გიორგონთობას" ზეიმობდნენ.

აცხობდნენ ლობიანებს, შეკეცილებს, ბოხჩუანებს, იხარშებოდა ხორცი და მართავდნენ დიდ ქეიფს.

გარდა ამისა გადმოცემის მიხედვით, რაჭის ერთ-ერთ ეკლესიაში, გრძელი მილის ფორმის საკრავი ინახებოდა, რომელიც საკმაოდ მოზრდილი ყოფილა.

მასზე ყველა ვერ უკრავდა. შიგ კარგად რომ ჩაებერა, დამკვრელი ძლიერი უნდა ყოფილიყო.

საკრავი მეჭონეებს თავიანთი მსვლელობის დროს დაჰქონდათ და თითოეულ ეზოში სიმღერის ნაცვლად მასში სამჯერ ჩაჰბერდნენ.

ნასიამოვნები მასპინძელი კი სააღდგომო კვერცხებითა და ტკბილი კვერებით ასაჩუქრებდა.

კახეთში სააღდგომოდ ბატკანს კლავდნენ, ახალი მიცვალებულის პატრონები სასაფლაოზე გადიოდნენ და კვერცხს აგორებდნენ.

სახლში აუცილებლად უნდა დაეკლათ ღორი.

იშლებოდა დიდი სუფრა, მეზობლები ერთმანეთს ეპატიჟებოდნენ და ქეიფობდნენ.

აცხობდნენ უხაშო კაკანტელებს და ხალხში არიგებდნენ.

გურიაში აღდგომის დღესასწაულზე ტრადიციული ლელო იმართებოდა.

16-კილოგრამიან ტყავის ბურთს სილითა და ნახერხით ავსებდნენ და აგუნას წვენს ასხამდნენ.

აგუნა უძველესი წარმართული რიტუალიდან გადმოსული ღვინის დღესასწაულია, რომელიც დღეს უკვე მივიწყებულია.

აგუნა შავი ღვინის, თაფლის, ბროწეულის წვენისა და კიდევ ერთი უცნობი ინგრედიენტის ნაზავია, რომელსაც მცირე რაოდენობით მოთამაშეებსაც ასმევდნენ ძალისა და სიმხნევის მოსამატებლად.

სამეგრელოში სააღდგომო წირვა შუაღამით იწყებოდა.

ტაძარი ხალხით ივსებოდა და ყველგან უამრავი სანთელიენთო.

ბოლოს „ქრისტე აღდგას" გალობით ყველანი შინ ბრუნდებოდნენ, დილით კი გადიოდნენ სასაფლაოზე.

სააღდგომო ზარ-ზეიმი გრძელდებოდა მთელი კვირის განმავლობაში და დიდი მასშტაბურობით სრულდებოდა კვირაცხოვლობის დღესასწაულით.

ვახუშტი ბატონიშვილის ისტორიული წყაროების თანახმად, საზეიმო წირვის დასრულების შემდეგ საქართველოს მეფე, თავადები და აზნაურები დღევანდელი ქაშუეთის მიმდებარე ტერიტორიაზე ისრით სროლაში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს.

გამარჯვებულს აჯილდოებდნენ ოქროს ან ვერცხლის თასით.

სწორედ აღნიშნული თასის ჩამოგდება გახლდათ შეჯიბრების შინაარსი და მისი მონაწილეების მიზანი.







## სააღდგომო პასკა

გადმოცემის თანახმად პასკის შემოსვლამდე, საქართველოში აცხობდნენ ე.წ. სააღდგომო ქადებს.

თანამედროვე აღდგომის განუყოფელ ნაწილად ქცეული პასკები კი ჩვენს ქვეყანაში მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში შემოვიდა.

აღდგომის დღესასწაულის დადგომამდე მთელი რელიგიური სამყარო განსაკუთრებულად ემზადება. აღდგომისთვის განსაკუთრებული მზადება დიდი მარხვის უმძიმეს დღეებში იწყება. დღესაწაულის მთავარი ატრიბუტები კი, რომელიც ასევე თითქმის ყველა ოჯახშია, არის – პასკა, წითელი კვერცხი, რომლის გარეშეც სააღდგომო სუფრა წარმოუდგენელია, საეკლესიო წესებთან ერთად, ხალხურ ჩვეულებებსაც აერთიანებს.

## წითელი კვერცხი

გადმოცემის მიხედვით, ამაღლებამდე იესო ქრისტემ თავისი მოწაფეები სხვადასხვა ადგილებში დაგზავნა, რათა ადამიანებისთვის მისი აღდგომის შესახებ ეხარებინათ. საქადაგებლად მარიამ მაგდალინელიც გაეშურა, რომლისგანაც მაცხოვარმა შვიდი ეშმაკი განდევნა და რომელმაც ღვთისმშობლის შემდეგ პირველმა იხილა მკვდრეთით აღმდგარი უფალი. წმინდა მარიამი რომში ჩავიდა და პირდაპირ იმპერატორის სასახლეს მიაშურა. იგი ცნობილი პიროვნება იყო და ამიტომ სასახლეში დაუბრკოლებლად შეუშვეს. მან იმპერატორ ტიბერიუსს საჩუქრად კვერცხი გაუწოდა და ახარა: „ქრისტე აღსდგა". იმპერატორმა ქალს ეჭვის თვალით შეხედა და წამოიძახა: „როგორ შეეძლო მკვდარს, აღმდგარიყო?! ეს ისევე დაუჯერებელია, როგორც ის, რომ ახლა ეს კვერცხი გაწითლდეს". სიტყვები ჯერ დამთავრებული არც კი ჰქონდა , რომ კვერცხი უმალ გაწითლდა. ამ დღიდან მოყოლოებული აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს ქრისტიანები წითელი კვერცხებით ეგებებიან.

ზოგადად, კვერცხი სიცოცხლის სიმბოლოა, რადგან მისგან ცოცხალი არსება იბადება, იესო ქრისტემ კი სიცოცხლე მოგვანიჭა. წითელ ფერში სისხლი მოიაზრება, რადგან ქრისტემ თავისი სისხლით სიცოცხლე განწმინდა და აკურთხა.

საბოლოოდ, აღდგომის დღესასწაულისთვის, კვერცხის წითლად შეღებვის ტრადიციას საფუძველი აქედან ჩაეყარა, რომელსაც ყველა მორწმუნე ოჯახი იცავს.

## პასკა

ებარაული პასექის დღესასწაულზე ხმიადებს, უსაფუარო პურებს აცხობდნენ. ეს ხმიადები საიდუმლო სერობაზეც იყო. გარკვეული განსხვავება დასავლეთისა და აღმოსავლეთის ეკლესიებში ჯერ კიდევ განხეთქილებამდე არსებობდა, დასავლეთში უსაფუარო კვერის გამოყენების ტრადიცია შეინარჩუნეს (ებრაელებს აკრძალული ჰქონდათ მისი საფუარით მომზადება), აღმოსავლეთში კი გაფუებული კვერის გამოყენების ტრადიცია შემოვიდა. ეს ტრადიცია ეფუძნება მაცხოვრის მიერ მოყოლილ იგავს სასუფევლის შესახებ. სასუფეველი საფუარიან ცომს ჰგავს, რომლის მცირე ნაწილი მას აფუებს. საფუარი მადლის სიმბოლოა. ქვეყანაზე ჭეშმარიტი სარწმუნოების გავრცელება მადლით ხდება, ადამიანის მოპოვება სასუფევლისთვის და ცხონება მადლით ხდება, ამიტომ აღდგომის დღესასწაულზე საფუარიან პურს ამზადებენ, რომელიც ტკბილი უნდა იყოს-„ტკბილ ხარ შენ, უფალო, და სიტკბოებითა შენითა მასწავე მე სიმართლენი შენნი". ამავე დროს პასკა პურია. უფალი ამბობს: „მე ვარ პური ზეცით გადმოსული". საზიარებელი ღვინო და პური, ღვთის მადლად იკურთხება და უფლის სისხლად და ხორცად გარდაისახება. აღდგომის სიხარულთან ერთად პასკა ასევე ზეციური საზრდოს სიმბოლოა ადამიანის სულისთვის.

პასკა ყველა ქრისტიანულ ოჯახში ცხვება მაცხოვრის რწმენის ნიშნად.

## ჯეჯილი

ბზობის კვირას ძველი ქრისტიანული ჩვეულების მიხედვით ხორბალს თესენ. ამისთვის ლანგარზე წყალში დასველებულ ბამბას დებენ და მასზე მუჭით მცირეოდენ ხორბალს მიმოფანტავენ. ხორბალი ღვივდება და ჯეჯილად იზრდება.

ჯეჯილი ახალი ცხოვრების დაწყების სიმბოლოა, რომელიც ქრისტემ კაცობრიობას თავისი აღდგომით მიანიჭა. მწვანე ჯეჯილზე გაგორებული წითელი კვერცხები სიკვდილის ძლევის სიმბოლოა.

ძველი ქრისტიანული წესის თანახმად, მორწმუნეები აღდგომის დღესასწაულს ერთმანეთს პასკითა და ჯეჯილში ჩადებული წითელი კვერცხებით ულოცავენ.

კვერცხი, პასკა, ჯეჯილი მხოლოდ სიმბოლოებია. აღდგომის დღესასწაულის მთავარი არსი მარხვა, ზიარება და ქრისტეს აღდგომით მოგვრილი სიხარულის შეგრძნებაა.

**მოამზადა ია გიგიაშვილმა**





# 2019 წელს სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის რამდენიმე ახალი პროექტია გათვალისწინებული



სოფლის მეურნეობისა და გარემოს დაცვის მინისტრის მოადგილის გიორგი ხანიშვილის განცხადებით, 2019 წელს სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის რამდენიმე ახალი პროექტია გათვალისწინებული. ამის შესახებ გიორგი ხანიშვილმა „ინტერპრესნიუსის" შეკითხვის საპასუხოდ განაცხადა.

მისი თქმით, ერთ-ერთი პროექტია სამაცივრე მეურნეობების განვითარება, რომელიც მომავალში ამოქმედდება.

„ახალი პროექტით, მოსავლის ასაღები ტექნიკის თანადაფინანსებაში სახელმწიფოს შესვლაც იქნება, რომელიც 50%-იანი თანაფარდობით არის გათვალისწინებული.

ასევე, ახალი პროექტია დასავლეთ საქართველოში სასათბურე მეურნეობის მშენებლობა, რომლის პროექტირებისთვის დაახლოებით 2 მილიონი ლარია გამოყოფილი და დაახლოებით 100 მილიონ დოლარიანი პროექტი იქნება. ვფიქრობთ, რომ კენკროვანი კულტურების ათვისება ახალ მასშტაბებს შეიძენს, რომელიც დასავლეთ საქართველოს რეგიონებში იყო და მისი არეალი გაფართოვდება", – აღნიშნა მან.

გიორგი ხანიშვილის თქმით, პროგრამები დაინერგება მეცხოველეობის განვითარების მიმართულებითაც.

„საკმაოდ შთამბეჭდავი პროგრამა დაიწყება „იფადის" კრედიტისა და გრანტის მეშვეობით. ეს არის 120 მილიონ ლარიანი პროექტი, რომელსაც საფუძველი 2019 წელს ჩაეყრება. ვფიქრობთ, რომ 2019 წელს საქართველოს მთავრობა, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს შესაბამისი სამსახურების მეშვეობით შეინარჩუნებს ყველა იმ პროექტს, რაც გვქონდა და უფრო მეტ განვითარებას და უფრო მეტი თანხა დაიხარჯება, ვიდრე გასულ წლებში იხარჯებოდა", – აღნიშნა მინისტრის მოადგილემ.

agroface.ge



# მთავრობამ აგროდაზღვევის სახელმწიფო პროგრამა გააგრძელა

საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, 2019 წელს სახელმწიფო აგროდაზღვევის პროგრამის განხორციელება გაგრძელდება. ყველა კულტურაზე სახელმწიფოს მხრიდან თანამონაწილეობა კვლავ 70% იქნება, ხოლო ვაზზე – 50%.

აგროდაზღვევის პროგრამის ფარგლებში, სადაზღვევო პოლისი ფარავს შემდეგ სადაზღვევო რისკებს: სეტყვა, წყალდიდობა, ქარიშხალი, საშემოდგომო ყინვა. აგროდაზღვევის პროგრამაში მონაწილეობა შეუძლია მიიღოს ყველა ფიზიკურმა ან იურიდიულმა პირმა, რომელსაც საკუთრებაში, სარგებლობაში ან ფაქტობრივ მფლობელობაში გააჩნია არაუმეტეს 5 ჰექტარი (ხორბლის მოსავლის დაზღვევის შემთხვევაში, არაუმეტეს 30 ჰექტარი) სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი.

2019 წელს გაიზარდა წითელი ვაზის მოსავლის პოლისის სადაზღვევო ლიმიტი და ის 1 ჰექტარზე 10 ათასი ლარის ნაცვლად 15 ათასი ლარი იქნება. სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინფორმაციით, ლიმიტის ზრდა 2018 წელს ყურძნის ფასის მატებამ გამოიწვია.

მოცდის პერიოდი სადაზღვევო პოლისის გაცემის თარიღიდან 4 დღის ვადითაა განსაზღვრული.

აგროდაზღვევის პროგრამაში ჩართვა შეუძლია საქართველოს ტერიტორიაზე ლიცენზირებულ ყველა სადაზღვევო კომპანიას. დაზღვევას დაექვემდებარება მხოლოდ ისეთ მიწის ნაკვეთზე მოყვანილი მოსავალი, რომელიც დარეგისტრირებულია საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოსა და ფერმერთა რეესტრში.

აგროდაზღვევის სახელმწიფო პროგრამა 2014 წელს დაიწყო. პროექტის მიზანი აგროსექტორში სადაზღვევო ბაზრის განვითარება, სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის ხელშეწყობა, სასოფლო-სამეურნეო საქმიანობით დაკავებული პირებისთვის შემოსავლის შენარჩუნება და რისკების შემცირებაა.

„2014-2018 წლებში, აგროდაზღვევის პროგრამის ფარგლებში, გაცემულია 81 453 პოლისი. დაზღვეულია 71 413 ჰექტარი. ამ პერიოდში ჯამში 551 366 395 ლარის მოსავალი დაიზღვა. ფერმერების მიერ დაზღვევის მომსახურებაში გადასახდელი თანხიდან სახელმწიფომ 33 854 463 ლარის სუბსიდირება მოახდინა. 5 წლის განმავლობაში ანაზღაურებულმა ზარალმა 35 343 213 მილიონი ლარი შეადგინა", – აცხადებენ სოფლის მეურნეობის სამინისტროში.

# მცირე ქრონიკები ვაზის სასხლავი იარაღის ისტორიიდან

არქეოლოგიური გათხრებიდან და სპეციალური ლიტერატურიდან ცნობილია, რომ ძველ სამყაროში სავენახე, საბაღე და სამკალმა იარაღებმა თავისი განვითარების ზღვას რომაულ ეპოქაში მიაღწიეს.ამ ხანის შრომის იარაღები განსაკუთრებული მრავალფეროვნებით გამოირჩევა. ისინი ფორმით ნამგალსა და ცელს უახლოვდებიან, თუმცა ზომით უფრო პატარები არიან და მათ მუშაობის საკუთარი სპეციფიკა გააჩნიათ.

საქართველოს ტერიტორიაზე არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი ვაზის სასხლავი იარაღი უძველეს ხანას განეკუთვნება. ამ სასხლავებიდან ყველაზე უფრო ადრეულად მიჩნეულა კახეთში, სოფელ ბაკურციხეში აღმოჩენილი სავაზე ნამგლები, რომლებიც ძვ. წ.II და I ათასწლეულების მიჯნით თარიღდება. I ათასწლეულის შუა ხანების ეთნოგრაფიულ მასალებში გვხვდება რკინის სასხლავები, რომელთა განვითარებულმა ფორმებმა სავაზე-სასხლავის სახით XX საუკუნემდე შემოინახა თავი.

საქართველოს ღირსეულმა მამულიშვილმა ივანე ჯავახიშვილმა საგანგებოდ შეისწავლა სასხლავი იარაღის აღმნიშვნელი ქართული ტერმინები: სასხლავი, წალდი, ბურჭული, სავაზე და ცალკე ნაშრომიც მიუძღვნა ამ სასხლავ იარაღებს. სასხლავი დიდი მეცნიერის დასკვნით, რტოთა მოსაჭრელად განკუთვნილი იარაღის აღმნიშვნელი ზოგადი შინაარსის მქონე ძველი ქართული ტერმინია, რომელიც რომაელების სასხლავ ნამგალს უდრის, სასხლავი იხსენიება ქართული კულტურის უძველეს ძეგლებში.

წალდი და ბურჭული პარალელური ქართულ-მეგრული ტერმინებია; ბურჭული ამჟამად მხოლოდ მეგრულსა და ჭანურშია დაცული, მაგრამ საგვარეულო სახელი ბურჭულაძე ცხადყოფს, რომ ეს ტერმინი წინათ დასავლეთ საქართველოს სხვა რეგიონებშიც უნდა ყოფილიყო გავრცელებული. ტერმინი სავაზე, რომელიც მხოლოდ კახეთშია დამოწმებული, სპეციალური დანიშნულების, მხოლოდ დაბლარი ვაზის სასხლავად გამოყენებულ იარაღს აღნიშნავს.

გასული საუკუნის ლიტერატურული მონაცემებისა და მოპოვებული ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით ჩანს, რომ დაბლარი ვენახის სასხლავად როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოში ნამგლისებური სასხლავი იარაღი გამოიყენებოდა.

დასავლეთ საქართველოში ჯერ კიდევ შეიძლება აქა-იქ შემორჩენილი ამგვარი სასხლავის მიკვლევა, აღმოსავლეთ საქართველოს ზოგიერთ რეგიონში კი, კერძოდ კახეთში, ეს აღარ ხერხდება.

საყურადღებოა, ცნობილი ეთნოგრაფის, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის ნიკოლოზ რეხვიაშვილის ნაშრომი „მჭედლობა რაჭაში", სადაც არა მარტო რაჭაში, არამედ დასავლეთ საქართველოს სხვა კუთხეებში დამოწმებული სასხლავი იარაღის არაერთი ფოტოა მოთავსებული.

შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ ეთნოგრაფიულ ნაშრომებში კახური ნამგლისებური სავაზის გამოსახულება არ მოიპოვება, მხედველობაში გვაქვს მკვლევარისა და ეთნოგრაფის ი. ნანობაშვილის მონოგრაფია, მიძღვნილი ქიზიყის მევენახეობა-მეღვინეობისადმი. ავტორი აღნიშნავს, რომ „სავაზის ის სახე, რომელიც ნამგლის ფორმას ატარებდა და რომელიც უწინ ქიზიყის ყოფაში ვაზის სასხლავად იხმარებოდა, ეხლა ძნელი საპოვნელიაო".

კახეთში ამჟამად იშვიათად შეხვდებით სასხლავ იარაღს, რომელსაც, მართალია, სავაზეს უწოდებენ, მაგრამ თავისი საჭრელი პირის მოყვანილობით ის ძლიერ განსხვავდება ნამგლისებური სავაზისაგან. ხსენებული სავაზე, ანუ სავაზე დანა, ცალპირი იარაღია, აქვს პირი და ცალი ყუა – მისი პირი ნოღაა, უნიღრო ანუ უცხვირო, „ყუნწი შამფურივით აქვს ჩაბნეული ხის ტარში" და სალტეთი გამაგრებული.

უნიღრო სავაზის შესახებ ურთიერთსაპირისპირო ცნობები მოიპოვება, რომლებიც კახეთის სხვადასხვა სოფლებშია ჩაწერილი. მოვიტანთ ზოგიერთ მათგანს: „ნიღრი არა აქვს – წალდულაა. ხმარობდნენ ხმელი ვაზის მოსაჭრელად, სარსაც ჩეკავდნენ ამით, სასხლავად არ უხმარიათ" (ს. საქობო); „უნიღრო სავაზე სარჩილავით იყო ტარზე დამაგრებული, მოზრდილი პირი ჰქონდა, წელში გარჭმული ჰქონდათ, ვენახს რომ ბარავდა კაცი, ვაზს ამით ამუშავებდა" (ს. კარდანახი); „სწორპირიანი სავაზეც ჰქონდათ და მოხრილ პირიანიც. მოხრილი უფრო იშვიათი იყო, კარგი იყო, ამოუსვამდი და ჭრიდა" (ს. ფშაველი).

კახეთის სავაზეების შესწავლით თავის დროზე სოფელ აკურის ეთნოგრაფიული ექსპედიციის მონაწილენი (ა. ლეკიაშვილი, ჯ. რუხაძე, ი. ჭყონია) დაინტერესდნენ. 1964 წელს გამოცემულ მონოგრაფიაში „სოფელი აკურა", ამ ექსპედიციის წევრები აღნიშნავდნენ: „აკურელთა ძველი სასხლავი იარაღი, რომ მართლაც მოღუნული ნამგლისებური უნდა ყოფილიყო, ამას ისიც მოწმობს, რომ თელავის რაიონის ზოგ სოფელში სწორედ ასეთი სავაზეები იყო უკანასკნელ ხანებამდე ხმარებაში. 1956 წელს ჩვენ დავადასტურეთ ასეთი სავაზეები სანიორესა და წინანდალში".

ექსპედიციის წევრები იქვე მიუთითებენ პატარა, კოხტა ნამგლისებური ფორმის სასხლავის სურათს. ზუსტად ასეთივე სასხლავი დამოწმებულია ქართლში, სოფელ მუხრანში, მაგრამ როგორც მკვლევარი ლევან გაბუნია ვარაუდობს, ორივე შემთხვევაში საქმე უნდა გვქონდეს არა ჩვენებურ ტრადიციულ სასხლავთან, არამედ ქარხნული წესით დამზადებულ იარაღთან; როგორც სოფელ მუხრანში დაადასტურეს, ამგვარ სასხლავებს რუსეთის იმპერიის საუფლისწულო მამულების ადმინისტრაცია საზღვარგარეთიდან, კერძოდ, გერმანიიდან იწერდა და თავის მუშებს ურიგებდა.

საგულისხმოა, რომ გერმანელი მკვლევარის რ. ვაინჰოლდის ერთ-ერთ ნაშრომში აღბეჭდილი სასხლავი დიდ სიახლოვეს ამჟღავნებს კახეთში და ქართლში დამოწმებულ ზემოთხსენებულ სასხლავებთან.

ქართულ ტრადიციულ სასხლავს ადგილობრივი მჭედლები აკეთებდნენ. ხშირ შემთხვევაში ჩვენი წინაპრები მჭედლებისგან ყიდულობდნენ სასხლავის პირს, ტარს კი თვითონ ამზადებდნენ. სავაზის ტარს ჩახერხავდნენ, სამანჭვებს დანიშნავდნენ, გახურებული შანთით გახვრეტდნენ, შემდეგ პირს ტარში ჩასვამდნენ, მანჭვებს გაუყრიდნენ და ჩაქუჩით დაკვერავდნენ.

სასხლავის ქამარზე ჩამოსაკიდებლად ზოგჯერ ტარის ბოლოში ტყავის რგოლს ამაგრებდნენ. მეურნე კაცი პერიოდულად ლესავდა სასხლავს ქლიბით ან სალესი ქვით. აქა-იქ დღემდე შემორჩენილ სასხლავებს პირი ხშირად მოცვეთილ-მოლეული აქვთ.

ვაზის სასხლავად იხმარებოდა აგრეთვე ქარხნული წესით დამზადებული ერთგვარი დანა, რომელიც ხალხში ცნობილია „სასხლავი დანის", „ბაღის დანის" სახელწოდებით. ქართლში მას ზოგჯერ წალდუნა დანას უწოდებენ, მაგრამ ანსხვავებენ მჭედლის მიერ დამზადებული ნამდვილი წალდუნასაგან. ეს არის ჯაყვისმაგვარი დასაკეცი დანა, რომელსაც აქვს ოდნავ მოხრილი პირი და ტარი. გამოიყენებოდა როგორც ვაზის სასხლავად, ისე ვაზის და ხეხილის მყნობის დროს. გარდა ამისა, წალდუნა დანას იყენებდნენ ვაზის ძირკვების, ანუ ზედა ფესვების ამოსაჭრელად. ძველად მიღებული იყო, რომ მარიამობის თვეში ვაზისათვის ძირი უნდა შემოეთხარათ და ძირკვები შემოეჭრათ.

XIX საუკუნის მიწურულს და XX საუკუნის დასაწყისში საქართველოს მევენახეობის რაიონებში თანდათან ვრცელდება ვაზის სასხლავი მაკრატელი, ე. წ. სეკატორი. თავდაპირველად ამ იარაღს მაინცდამაინც არ ეტანებოდნენ, შემდეგ კი ბევრგან, განსაკუთრებით აღმოსავლეთ საქართველოში, ძალიან შეავიწროვა ძველებური სასხლავი იარაღები, ხმარებიდან გამოიყვანა და მყარად დამკვიდრდა ხალხში.

**ოთარ დავითაშვილი**

# საქართველოს ბაზარზე არსებული სასუქები და მცენარეთა დაცვის საშუალებები

საქართველოს ხელისუფლების აგრარულმა პოლიტიკამ მიწის მესაკუთრე ფერმერები და გლეხები საგრძნობლად გაააქტიურა. ეს მნიშვნელოვანი ფაქტია და ყველა ფეხის ნაბიჯზე იგრძნობა. შესაბამისად გააქტიურდა ბიზნესი, რომელმაც სოფლის მეურნეობა უნდა დააკმაყოფილოს სასუქებით და მცენარეთა დაცვის საშუალებებით. აქ უპირველეს პრობლემად დგება საკითხი ქართულ ბაზარზე არსებული საშუალებების ეფექტურობისა და ეკოლოგიურ უსაფრთხოების შესახებ. მიგვაჩნია, რომ მომხმარებელმა თავისი ჯანმრთელობის დასაცავად და ქვეყნის გარემოს მომავალი თაობებისათვის, რაც შეიძლება ჯანმრთელ მდგომარეობაში გადაცემისათვის ყოველთვის სიფრთხილე უნდა გამოიჩინოს.

სადღეისოდ ქართულ ბაზარზე რამდენიმე ცნობილი კომპანია გამოიკვეთა: შვეიცარული – „სინჟენტა", ამერიკული „დიუპონი" და „დაუ-აგრო", გერმანული – „ბასფი" და „ბაიერი", ასევე ზოგიერთი სხვა ევროპული კომპანიები (იტალია, ესპანეთი და სხვა). ეს კომპანიები ბაზრის დაახლოებით ნახევარს აკმაყოფილებენ. მათი პროდუქციის ხარისხი მაღალია და მოხმარების რეგლამენტის ზუსტი დაცვის შემთხვევაში ეკოლოგიურად ნაკლები საფრთხის შემცველია, როგორც ადამიანის ჯანმრთელობისათვის, ასევე მთლიანად გარემოსათვის.

ბაზრის დანარჩენ სეგმენტს ე.წ. „ჯენერიკი" პროდუქცია ისეთი ქვეყნებიდან აბალანსებს, როგორიცაა ჩინეთი, ინდოეთი, თურქეთი, ირანი და სხვა. მომხმარებლისათვის ადვილად გასაგები რომ იყოს განვმარტავთ სიტყვა „ჯენერიკის" შინაარსს. დღეს ცნობილია სასუქების და მცენარეთა დაცვის საშუალებების წარმოების ტექნოლოგიები და მოქმედი ქიმიური ნივთიერებები და არსებობს შესაბამისი პატენტები. დასავლეთის განვითარებული ქვეყნების მიერ წარმოებულ პროდუქტებში დაცულია ძირითადი მოქმედი ნივთიერებათა სისუფთავის ხარისხი, ამასთან ერთად გათვალისწინებულია მოქმედების ეფექტური ტექნოლოგიური მექანიზმები და ეკოლოგიური უსაფრთხოების საკითხები. რაც შეეხება „ჯენერიკებს" — ყოველივე ზემოთ აღნიშნული თვისებები ეფექტურობის და ეკოლოგიური უსაფრთხოების შესახებ ნაკლებადაა დაცული. აქედან გამომდინარე „ჯენერიკების" მოხმარების შემთხვევაში, გარდა იმისა, რომ მომხმარებელი ვერ აღწევს შედეგს მოსავლიანობის რაოდენობის და ხარისხის მაჩვენებლების მონაცემებით, ქმნის ეკოლოგიურ საფრთხეს – აბინძურებს ს/ს პროდუქციას, ნიადაგს, გრუნტის წყლებს და მთლიანად გარემოს ტოქსიკური ნივთიერებების (პესტიციდების) ნარჩენებით.

რას ვთავაზობთ მომხმარებელს? როგორ დაიცვას თავი უხარისხო, ხშირ შემთხვევაში, საშიში და მავნე პროდუქციისაგან?! ბაზარზე არსებული ყველა ბიზნესმენი ცდილობს, რეკლამა გაუწიოს თავის პროდუქციას, მოიზიდოს მეტი მომხმარებელი და ნახოს დიდი მოგება. ხშირ შემთხვევაში რაც უფრო დაბალხარისხიანია პროდუქტი, მას უფრო მეტი რეკლამირება უკეთდება და კიდევ ერთი, შედარებით იაფია. დაბალი მსყიდველობითი უნარის მქონე გლეხი გადაწყვეტილებას ფასის მიხედვით იღებს, ხოლო დაბალ ეფექტს მხოლოდ წლის ბოლოს ხედავს.

არსებული წესის მიხედვით ქვეყანაში ახალი პრეპარატის შემოტანისას მისი სახელმწიფო რეგისტრაცია ხდება, რომელსაც ახორციელებს საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სურსათის უვნებლობის და მცენარეთა დაცვის სპეციალური სააგენტო. რეგისტრაციის პროცედურა ითვალისწინებს წინასწარ გამოცდას და სპეციალისტების დასკვნას პროდუქტის ხარისხზე და ეფექტურობაზე. ამ საქმიანობის შესრულებისათვის აუცილებელია მინიმუმ ექსპერტი-სპეციალისტები, შესაბამისი სამსახური (ინსტიტუტი) და საცდელი ფართობები. სამწუხაროდ, ბოლო პერიოდში შესაბამისი პროფილის აგრარული ინსტიტუტები და საცდელ-ექსპერიმენტული ბაზები პრაქტიკულად აღარ არსებობს. ყოველივე ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე რეგისტრაცია გარკვეულწილად ფორმალურ ხასიათს იღებს. ამრიგად, ბაზარი ამ მხრივ დაუცველია. მიგვაჩნია, რომ ამ პრობლემის მოსაგვარებლად სახელმწიფოს მხრიდან სასწრაფო რეაგირებაა საჭირო.

შექმნილი სიტუაციიდან გამოსავლის მიზნით მომხმარებელს ვთავაზობთ ისარგებლოს სპეციალური საკონსულტაციო სამსახურების მომსახურებით, როგორც თბილისში, ასევე რეგიონებში და ცნობილი ევროპული კომპანიების პროდუქცია აირჩიოს და უფასო კვალიფიციური კონსულტაციები გაიაროს.

**ჟურნალი „ახალი აგრარული საქართველო"**

# ძალიან ვცდილობ არ დავკარგო ის ფესვები, რომლებიც ყვარელთან მაკავშირებენ

დასაწყისი 1-ელ გვ. -ზე

*თბილისის ბავშვთა ინფექციური კლინიკური საავადმყოფოს დამაარსებელი და პირველი მთავარი ექიმი გახლდათ. ახლახანს აღნიშნულ საავადმყოფოს კრიტიკული მედიცინის დეპარტამენტს ნიკოლოზ ანდრიაძის სახელი მიანიჭეს.*

*ბატონი გივის მამა, ალექსი ანდრიაძე, კარდიოლოგიის ინსტიტუტის საკონსულტაციო პოლიკლინიკის განყოფილების ხელმძღვანელი იყო.*

*გივი ანდრიაძე ყოველმხრივ საინტერესო პიროვნება და ერის საამაყო შვილია. მას დიდი წვლილი მიუძღვის კარდიოლოგიის განვითარებაში. თავისი სადოქტორო თემის ერთი ნაწილის „გულის ინფარქტის მოდელირების მეთოდის", გამოქვეყნებისთანავე მან თავის დროზე საავტორო მოწმობა მიიღო. ეს ნაშრომი აქტუალობით და დიდი მეცნიერული მნიშვნელობისათვის 1980 წელს საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე მედლითა და დიპლომით დააჯილდოვეს. ის ერთადერთი მოფარიკავე იყო, რომელმაც 1961 წლიდან ზედიზედ სამჯერ მოიგო საკავშირო პირველობა ახალგაზრდებს შორის, 1963 წელს კი ბელგიის ქალაქ გენტში რაპირით ფარიკაობაში ახალგაზრდებს შორის მსოფლიო ჩემპიონის ტიტული მოიპოვა. სწორედ ფარიკაობის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის ის 2016 წელს საქართველოს სპორტის და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრომ საპატიო სიგელით დააჯილდოვა. გარდა ამისა, ბატონი გივი 2015 წლის 8 ნოემბერს, ილიაობის დღესასწაულზე, ყვარლის მუნიციპალიტეტის მიერ დაჯილდოებული იქნა ყვარლის საპატიო მოქალაქის წოდებით, ხოლო 2017 წლის ივნისს ვანელობის დღესასწაულზე მას ვანის საპატიო მოქალაქის წოდებაც მიენიჭა!*

*ისეთი სახელგანთქმული წინაპრების შთამომავალია, იმდენად საინტერსო და მრავალფეროვანი ცხოვრება აქვს გამოვლილი, იმდენი რამ აქვს საამბობი და მოსაგონარი, რომ ჩვენი გაზეთის ათეული ნომერიც ვერ დაიტევს ამ ისტორიებს.*

*მიუხედავად იმისა, რომ იგი ძალიან დაკავებულია მეცნიერული მოღვაწეობით, სიამოვნებით დაგვთანხმდა ინტერვიუზე.*

**– ბატონო გივი, როგორი განცდაა, როცა ასეთი სახელოვანი წინაპრების შთამომავალი ხარ?**

– უპირველესად, რა თქმა უნდა, საოცარი სიამაყის, მერე – უდიდესი პასუხისმგებლობის. ცუდად მოქცევა რომც გინდოდეს, ალბათ ვერ გაბედავ, ფიქრადაც ვერ გაივლებ, რადგან მათი სულები დაგტრიალებენ. იცით, ახალგაზრდობაში ყველაფერს სხვაგვარად უყურებ, თითქოს რაღაცეებს ვერც აღიქვამ, ვერც ხვდები. წლების შემდეგ კი სხვა გადასახედია, ყველაფერს სხვაგვარად აცნობიერებ კაცი. მე მართლა ძალიან საინტერესო ცხოვრება გამოვიარე. მარტო ის რად ღირს, მოსკოვში სწავლისას 10 წელი ბორის პასტერნაკის ოჯახში ვიცხოვრე. მოგეხსენებათ, ბორის პასტერნაკისა და ჩვენი ოჯახის მეგობრობა მაშინ დაიწყო, როცა ტიციანმა ქუთაისის გიმნაზია დაამთავრა და სასწავლებლად მოსკოვში წავიდა. სწორედ იქ დაუმეგობრდა ბორის პასტერნაკს, ნიკოლოზ ტიხონოვს, სერგეი ესენინს, პაველ ანტაკოვსკის, კონსტანტინ სიმონოვს და სხვებს. სწავლის დამთავრების შემდეგ, თბილისში რომ დაბრუნდა, რუსი მეგობრები მასთან სტუმრად ხშირად ჩამოდიოდნენ. მე ბებია კარგად მახსოვს, 1965 წელს გარდაიცვალა. ტიციანის მეუღლე, ნინო მაყაშვილი, თავადის ქალი გახლდათ. ტიციანის გარდაცვალების შემდეგ სულ მეგობრობდა ბორის პასტერნაკთან, ხშირად სტუმრობდა და რჩებოდა მასთან. მე როცა ვფარიკაობდი, ხშირად მიხდებოდა მოსკოვში წასვლა, ბებიას ყოველთვის თან დავყავდი, მიყვარდა ბორისთან დარჩენა, პომიდვრების დარგვაში ვეხმარებოდი ხოლმე, ერთხელ ველოსიპედი მაჩუქა, სურათებიც კი მაქვს შემონახული. ყოველივე ამის დავიწყება ხომ შეუძლებელია. 1959 წელს ბორისი ჩვენთან ჩამოვიდა სტუმრად. იმ დროს „ექიმი ჟივაგო" უკვე გამოცემული ჰქონდა საზღვარგარეთ და დიდი აურზაური იყო ატეხილი. ხრუშჩოვის მთავრობა არ სწყალობდა, სხვა მწერლებს ხელისუფლების ეშინოდათ და პასტერნაკის ოჯახს ახლოს არ ეკარებოდნენ. ბორის პასტერნაკი ავად რომ იყო, ბებიაჩემი (ნინო მაყაშვილი) გვერდიდან არ მოშორებია, მის ხელში დალია სული.

**– ექიმების შთამომავალი რომ მედიკოსობაზე უარს არ იტყოდით, ბუნებრივია. ლექსებსაც ხომ არ წერთ?**

– არა, პოეტობის ნიჭი არც მე და არც ჩემს დას (ნინიკო ბატონ გივიზე 18 წლით უმცროსია) არ გამოგვყოლია, მიუხედავად იმისა, რომ იგი ფილოლოგია. ექიმობა მე ბავშვობიდანვე მხიბლავდა. როცა ადამიანებს, რომლებიც მუდარითა და დახმარების მოლოდინით სავსე თვალებით შემოგცქერიან, დაეხმარები და უმკურნალებ, ამაზე დიდი და მნიშვნელოვანი რა უნდა იყოს!

1966 წელს, სამედიცინო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, გავემგზავრე მოსკოვში, სადაც ა. მიასნიკოვის სახ. კარდიოლოგიის ინსტუტში რამდენიმე წელი ვიმუშავე, ორივე დისერტაცია იქ მაქვს დაცული, ინფარქტის განყოფილებაში, აკადემიკოს ევგენი ჩაზოვის ხელმძღვანელობით, რომელიც კლინიკის დირექტორი და იმავდროულად მე-4 სამმართველოს უფროსი გახლდათ. მახსოვს, ერთხელ სამკურნალოდ მოიყვანეს ერთ-ერთი სამედიცინო კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, ჩემს მორიგეობაზე გაუჩერდა გული. ახალგაზრდა ვიყავი, მაგრამ არ დავიბენი, ელექტროშოკი გამოვიყენე და გავაცოცხლე. ორი წუთით რომ დამეყოვნებინა, ველარაფერს ვუშველიდით. იმ დროისათვის ეს იშვიათი მოვლენა იყო, ჩაზოვმა მადლობა გამომიცხადა. პრაქტიკულად მაშინ გადავარჩინე პირველად ადამიანი, თანაც ცნობილი ექიმი.

ჩემი შვილები (მარიამი და ლექსო) ბიზნესის სფეროში მოღვაწეობენ, ექიმობა არც ერთმა არ ისურვა.

ჩემი მეუღლე მანანა ანდრიაძე, კონსერვატორიის პრორექტორი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, პროფესორი გახლდათ, შესანიშნავად უკრავდა და მღეროდა. მოღვაწეობდა ქართული სასულიერო მუსიკის სფეროში. იგი იყო მუსიკისმცოდნე პირველი ქართველი ქალი, რომელმაც ამ სფეროში დოქტორის სამეცნიერო ხარისხი მოიპოვა. მანვე დააარსა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში საეკლესიო მუსიკის კათედრა და შექმნა ქართული საგალობლების კვლევის სკოლა.

სამწუხაროდ, 2013 წელს 62 წლის ასაკში გარდაიცვალა. ჩვენს უწმინდესსა და უნეტარესს, ილია მეორეს ძალიან უყვარდა იგი და დასაფლავების დღეს, როდესაც ქაშვეთის ეკლესიაში იყო დასვენებული, სულის მოსახსენებელი პანაშვიდი თავად გადაუხადა.

**– მოფარიკავე როგორ გახდით? მაინცდამაინც სპორტის ეს სახეობა რატომ აირჩიეთ?**

– ისტორიული ფილმების ყურებისას ყოველთვის მხიბლავდა ხმალაობა, როგორც, ალბათ, ყველა ბიჭს, თუმცა ფარიკაობაზე არასოდეს მიოცნებია, 12 წლის ასაკში შემთხვევით აღმოვჩნდი ამ წრეზე. თავიდან წელიწადზე მეტხანს ჭადრაკის სექციაზე ვახტანგ ქარსელაძესთან ვმეცადინეობდი. კარგად ვთამაშობდი და პედაგოგიც დიდ იმედებს ამყარებდა ჩემზე. ძალიან მსუქანი, პუტკუნა ბავშვი ვიყავი და ერთ მშვენიერ დღეს მამამ (ყოფილი ტანმოვარჯიშე იყო) წონის დასაკლებად ფარიკაობაზე მიმიყვანა მაშინდელ პიონერთა სასახლეში, ცნობილ საბჭოთა კავშირის დამსახურებულ მწვრთნელ ანატოლი ფეოდოროვთან.

წელიწადიც არ მქონდა ნავარჯიშები, რომ მოსკოვში სპორტსაზოგადოება „სპარტაკის" საკავშირო პირველობა გაიმართა. რაპირაში საქართველოს ჭაბუკთა ნაკრების ერთ-ერთი წევრი ავად გახდა და მე შემთხვევით ჩამსვეს სიაში. 12 წლის ყმაწვილმა საბჭოეთის დედაქალაქში პირველი ოქროს მედალი მოვიპოვე. მწვრთნელებმა მაშინ ეს შემთხვევითობას დააბრალეს, თუმცა როცა მომდევნო წელსაც გავიმარჯვე, უკვე სხვა თვალით შემომხედეს და პერსპექტივა ჩემშიც დაინახეს. საქართველოს პიველობაზე ხომ მუდამ ვჯობნიდი თანატოლებს. 17 წლის ასაკში უკვე სპორტის ოსტატობა მოვიპოვე. სკოლის დამთავრების შემდეგ სამედიცინო ინსტიტუტში ჩავაბარე. როგორც კი ლექციებს დავამთავრებდი, თავდაუზოგავად ვვარჯიშობდი, უკვე ტრიფონ მესხის ხელმძღვანელობით.

1961 წელს ახალგაზრდების საკავშირო პირველობა გაიმართა კლაიპედაში, ტურნირი კი ცუდად დავიწყე, ზედიზედ ორი ორთაბრძოლა წავაგე, თუმცა ბოლოსკენ მაინც მოვიკრიბე ძალები და მესამე ნომრად შევედი ფინალში. იქ, თითქოს მეორე სუნთქვა გამეხსნაო, ყველა შეხვედრა მოვიგე და ოქროს მედალი მოვიპოვე. ამას მოჰყვა ბერლინში საერთაშორისო ტურნირზე გამარჯვება. მომდევნო წლებში ზედიზედ კიდევ ორჯერ გავიმარჯვე საკავშირო პირველობებზე. 1962 წელს კი ეგვიპტეში (კაიროში) გამართულ მსოფლიო პირველობაზე მე-5 ადგილი დავიკავე. ერთ-ერთი ფინალური შეხვედრა მქონდა ფრანგ მოფარიკავე კურტილიასთან, რომელიც იმ წელს ჩემპიონი გახდა. საერთოდ შემტევი სტილის მოფარიკავე იყო, მაგრამ ამ შერკინებისას დაცვაზე გადავედი. უცებ მესმის – „მიდი, ბიჭო, რისი გეშინია, ქართველი არა ხარ?!" – ვიღაც გულშემატკივარი მეძახდა. იმ პერიოდში ისეთი იშვიათობა იყო ქართველი უცხოეთში, რომ დავიბენი, აქეთ-იქით დავიწყე ყურება, ყურადღება გამეფანტა და ბრძოლა წავაგე. თუმცა ერთი წლის შემდეგ, 1963 წელს, რევანში ავიღე და გენტიდან (ბელგია) ოქროს მედლით დავბრუნდი. ფრანგი კურტილია მთელი ოჯახით იყო ჩამოსული, ეგონა, მსოფლიო ჩემპიონობას ისევ მოიპოვებდა, თუმცა დავამარცხე, ხუთით ერთი მოვუგე, გაზეთები წერდნენ, რომ ერთ წუთში დავამთავრე ასპარეზობა! მაშინ 20 წლის ვიყავი. საქართველოში დაბრუნებულს, სამედიცინო ინსტიტუტის რექტორმა, პეტრე გელბახიანმა, დიდი შეხვედრა მომიწყო. გრიბოედოვის თეატრთან, ჭავჭავაძის კლუბის დიდ დარბაზში, მთელ ინსტუტუტს მოუყარა თავი. გამოდიოდნენ ლექტორები, სხვა დამსწრენი და მილოცავდნენ, ეს დიდი სიხარული იყო მთელი ინსტიტუტისთვის, რადგან მანამდე მედინსტიტუტის ისტორიაში მსოფლიო ჩემპიონი არავინ ყოფილა, პირველი მე ვიყავი, მერე გახდა მაია ჩიბურდანიძე.

**– რას იტყვით, რომელი უფრო რთულია – ექიმობა თუ ფარიკაობა?**

– იცით, ექიმობა თითქოს რაღაცით წააგავს კიდეც ფარიკაობას. ორივეს დიდი მუშაობა უნდა. ფარიკაობას თავდაუზოგავი ვარჯიში, სისწრაფე, თანაც აზროვნება სჭირდება, ყველა მეტოქეს სხვადასხვა ტექნიკა აქვს, შესაბამისად, ყველას სხვადასხვაგვარად უნდა ეფარიკავო გამარჯვებისათვის. ექიმობა ხომ სწავლის, შრომისა და თავგანწირვის გარეშე არ გამოდის. ამასთან სისწრაფე და აზროვნებაც სჭირდება, კაცი როცა გიკვდება, წამებში უნდა მიიღო გადაწყვეტილება. ეს განსაკუთრებულად ეხება მიოკარდიუმის ინფარქტიან პაციენტებს, რომელთაც მე მთელი ცხოვრება ვემსახურები (ბატონი გივი მოსკოვიდან დაბრუნების შემდეგ მუშაობდა მ. წინამძღვიშვილის სახ. კარდიოლოგიის ინსტიტუტში, პარალელურად მეცნიერთა საბჭოს თავმჯდომარე გახლდათ, მალევე დაინიშნა კარდიოლოგიის ინსტიტუტის სწავლულ მდივნად. 1998-2005 წლებში ინტენსიური თერაპიისა და რეანიმაციის ხელმძღვანელი იყო). მთავარია, საქმე, რომელსაც აკეთებ, გიყვარდეს და პატიოსნად ემსახურო.

**– ბებიათქვენს, ნინო მაყაშვილს, რა კავშირი ჰქონდა ყვარელთან და ჭავჭავაძეებსა და მაყაშვილებს შორის თუ არსებობდა ნათესაური კავშირი?**

– ნინო მაყაშვილის ბაბუის მამა (დედის მხრიდან) და ილია ჭავჭავაძე ძმები იყვნენ. ვენახებიც და მარანიც საზიარო ჰქონდათ.

**– თქვენი დედულეთია და იმიტომ გიყვართ ყვარელი?**

– ჩემი ბებია ხშირად ჩადიოდა ყვარელში, მეც თან დავყავდი. სკოლის არდადეგებს იქ ვატარებდი ნათესავებისა და ახლობლების გარემოცვაში. ყვარლისადმი დიდმა სიყვარულმა გადამაწყვეტინა ამეშენებინა სახლი და ვენახიც გამეშენებინა. ძალიან ვცდილობ არ დავკარგო ის ფესვები, რომლებიც ყვარელთან მაკავშირებენ.

**– ტიციან ტაბიძის ძეგლის დასადგმელი ადგილის შერჩევაში თქვენც მონაწილეობდით?**

– როცა გადაწყდა, რომ უნდა დაედგათ ყვარელში ტიციან ტაბიძის ძეგლი, ცნობილმა მოქანდაკემ მერაბ ბერძენიშვილმა (ქანდაკების ავტორმა) თვითონ მოისურვა ჩასულიყო ყვარელში და შეერჩია ადგილი, სადაც უნდა დაედგათ ძეგლი. მეც თან ვახლდი. მახსოვს მთელი დღე დავდიოდით. შემოთავაზებული იყო უამრავი ვარიანტი, მაგრამ მან აირჩია სკვერი,სადაც მზის სხივები მთელი დღის განმავლობაში გაანათებდა ძეგლს.

მოხდა სასწაული. როგორც შემდგომ გაირკვა, ეს ადგილი აღმოჩნდა ნინო მაყაშვილის სახლის ეზო.

**– პაპათქვენს რაღა კავშირი ჰქონდა ყვარელთან?**

– ამავდროულად, საინტერესო დამთხვევაა ისიც, რომ ჩემი ბაბუა ნიკოლოზ ანდრიაძე გამოჩენილი ინფექციონისტი, პროფესორი ( რომლის სახელსაც ატარებს თბილისის ბავშვთა ინფექციური საავადმყოფო)მოღვაწეობდა ყვარელში. მან გახსნა ინფექციურ დაავადებათა განყოფილება ყვარლის საავადმყოფოში. მკურნალობდა იმ დროს გავრცელებულ საშიშ ინფექციურ დაავადებებს და ატარებდა ეპიდემიების პროფილაქტიკებს. აღზარდა და დაახელოვნა ექიმების მომავალი თაობა.



**– ბატონო გივი, გთხოვთ თქვენი უმდიდრესი ცოდნა და გამოცდილება გაგვიზიაროთ ყვარლელებს, რადგანაც ბოლო დროს უამრავი ადამიანი იღუპება გულის დაავადებებით.**

– გულ-სისხლძარღვთა დაავადებები მოიცავს გულის კორონარულ დაავადებას-მიოკარდიუმის ინფარქტი, ცერებროვასკულურ დაავადებას-თავის ტვინის ინსულტი, მომატებულ არტერიულ წნევას (არტერიული ჰიპერტენზია), გულის რევმატულ და თანდაყოლილ სარქვლოვან დაავადებებსა და გართულების სახით-გულის უკმარისობას. გულ-სისხლძარღვთა დაავადებების ძირითადი ქცევითი რისკის ფაქტორებია: თამბაქოს მოხმარება, დაბალი ფიზიკური აქტივობა, არაჯანსაღი კვება და ალკოჰოლის საზიანო მოხმარება.

გულ-სისხლძარღვთა დაავადებები წარმოადგენს სერიოზულ პრობლემას, მიუხედავად დაავადების სახეობისა. ამ პათოლოგიის განვითარების რისკებისა და სახიფათო ნიშნების ცოდნა დაგეხმარებათ თვალი ადევნოთ და დროულად იგრძნოთ საშიშროება.

ხართ თუ არა გულ-სისხლძარღვთა დაავადებების განვითარების მხრივ რისკის ქვეშ? თქვენი პერსონალური რისკი დამოკიდებულია აღნიშნულ დაავადებათა განვითარებასთან ასოცირებულ ფაქტორებზე, რომელთა ერთი ნაწილის კონტროლი შეუძლებელია, ხოლო დანარჩენების კონტროლს თქვენ შეძლებთ.

**ფაქტორები,რომელთა კონტროლიც შეუძლებელია:**

- ასაკი
- სქესი (მენოპაუზის შემდეგ ქალების რისკი უთანაბრდება და უსწრებს მამაკაცებისას)
- ოჯახური ისტორია.

**ფაქტორები, რომელთა კონტროლსაც თქვენ შეძლებთ:**

- ქოლესტეროლის შემცველობა სისხლში
- ფიზიკური აქტივობა,
- თამბაქოს მოხმარება,
- წონა,
- არტერიული წნევა,
- შაქრიანი დიაბეტი.

**– რას წარმოადგენს გულ-სისხლძარღვთა დაავადებები და როგორია სიმპტომები?**

– ძირითადი ნიშნები და სიმპტომები საერთოა გულ-სისხლძარღვთა დაავადებების უმრავლესობისათვის.

**თუ თქვენ პერიოდულად გივლინდებათ შემდეგი სიმპტომები, მიმართეთ ექიმს:**

- ძლიერი თავბრუსხვევა და წონასწორობის დარღვევა
- უცებ განვითარებული დაღლილობის შეგრძნება
- აჩქარებული გულისცემა (100 და მეტი დარტყმა წუთში)
- არარეგულარული გულისცემა
- ტკივილი გულმკერდის მიდამოში ან დისკომფორტი ფიზიკური დატვირთვისას, რომელიც იხსნება დასვენების შემდეგ
- სუნთქვის გაძნელება ფიზიკური დატვირთვისას და მოსვენებით მდგომარეობაში
- ძილის დარღვევები

ინსულტის მაღალი რისკის პაციენტებსა და მათი ოჯახის წევრებს უნდა მიეწოდოთ ინფორმაცია ინსულტის სავარაუდო სიმპტომების შესახებ, რათა მათი გამოვლენისთანავე მათ დაუყოვნებლივ მიმართონ სამედიცინო დაწესებულებას ან გამოიძახონ სასწრაფო დახმარების ბრიგადა.

გულის შეტევა უხშირესად ვითარდება უეცრად, მაგრამ არა ყოველთვის და გარკვეულ შემთხვევებში, ამ ინციდენტს წინ უსწრებს:

შეტევითი ხასიათის ტკივილი, წვა ან ზეწოლა მკერდის ძვლის უკან

ტკივილი, რომელიც ვრცელდება ან ირადირებს ზურგში, კისერში, ყბებში ან მხარში.გულისრევა, ცივი ოფლი, სწრაფი ან არარეგულარული გულისცემა

**ქალებში, ტიპური იშემიური ხასიათის ტკივილი გულმკერდში შედარებით იშვიათია. ქალებში ამ მხრივ საყურადღებო სიმპტომებს მიეკუთვნება:**

- ქოშინი,
- გულისრევა/პირღებინება,
- ტკივილი ზურგში ან ყბებში,
- უეცრად განვითარებული დაღლილობის ან სისუსტის შეგრძნება, ხველა, შფოთვა.

**– როგორ ავიცილოთ თავიდან გულ-სისხლძაღვთა დაავადებები?**

– პოზიტიურია ის ფაქტი,რომ გულ-სისხლძარღვთა დაავადებებით ადრეული სიკვდილიანობის 80% პრევენტაბელური ანუ თავიდან აცილებადია.

ჯანსაღი კვება, თამბაქოზე უარის თქმა, რეგულარული ფიზიკური აქტივობა-არის ეფექტური პრევენციის გასაღები.

ბალანსირებული კვებით შესაძლებელია ჯანმრთელი გულისა და სისხლის მიმოქცევის სისტემის შენარჩუნება.

კვების რაციონში რეკომენდირებულია მარცვლეული პროდუქტების,ხილის და ბოსტნეულის, მჭლე ხორცის, თევზის-სიჭარბე, მარილის, შაქრისა და ცხიმის შეზღუდვა.

30 წუთი რეგულარული ფიზიკური აქტივობა, ყოველდღიურად დაგეხმარებათ შეინარჩუნოთ ჯანმრთელი გული,ხოლო 60 წუთი რეგულარული ვარჯიშისა, კვირის უმეტეს დღეებში -არის გარანტია-მიაღწიოთ და შეინარჩუნოთ ჯანსაღი წონა.

გულის დაავადებათა და ინსულტის რისკი იწყებს შემცირებას მაშინვე, როგორც პიროვნება უარს იტყვის თამბაქოს მოხმარებაზე, ხოლო 1 წლის შემდეგ ფაქტიურად ეს რისკი ნახევრდება.

**P.S.** საყურადღებოა ისიც, რომ ბატონმა გივიმ 2013 წელს ვეტერან მოფარიკავეთა ევროპის ჩემპიონატზე (რომელიც იტალიაში, რომთან ახლომდებარე ქალაქ ტერნში გაიმართა) 70 წლის ასაკში ბრინჯაოს მედალი მოიპოვა;

2014 წელს უნგრეთის ქალაქ დებრეცენში ვეტერანთა მსოფლიო პირველობაზე მე-3 საპრიზო ადგილი დაიკავა;

იმავე წელს გერმანიის ქალაქ ლაიფციგში პროფესიონალ ექიმებს შორის ევროპის პირველობაზე ყველა ბრძოლა მოიგო და 71 წლის ასაკში კვლავ ჩემპიონი გახდა!

ის დღესაც ყველაფერს აკეთებს ფარიკაობის პოპულარიზაციისათვის. 2010 წელს ტიციან ტაბიძის სახელობის თბილისის 43-ე სკოლაში გაიხსნა მისი სახელობის საფარიკაო კლუბი (სადღეისოდ რამდენიმე სხვა სკოლაშიცაა).

ამჟამად ნიკოლოზ ანდრიაძის სახელობის ფარიკაობის კლუბში 100-მდე მოზარდი ვარჯიშობს „ხმალში, რაპირასა და დაშნაში". უკვე წლებია ტრადიციად იქცა თბილისში ფარიკაობაში მსოფლიო ჩემპიონის ნიკოლოზ (გივი) ანდრიაძის ღია ტურნირის გამართვა, რომელსაც ის თავად აფინანსებს. ტურნირში მონაწილეობენ მოფარიკავეები როგორც თბილისიდან, ქუთაისიდან, ზესტაფონიდან, ბათუმიდან და რუსთავიდან, ასევე აფხაზეთიდან.

17 აპრილს კვლავ გაიმართა ნიკოლოზ ანდრიაძის სახელობის ტურნირი ორ ასაკში, რომელშიც 150 მონაწილეთა შორის სომეხი ახალგაზრდებიც მონაწილეობდნენ. ხმალში, რაპირაში და დაშნაში გამართულ ასპარეზობაში თავი გამოიჩინეს ქართველმა ახალგაზრდებმა და სამახსოვრო ჯილდოებიც მათ გადაეცათ.

ბატონი გივი ბედნიერია, მოზარდების დაინტერესებას რომ ხედავს სპორტის ამ სახეობით.

ჩვენ კი ბედნიერები ვართ ასეთი ღვაწლმოსილი და სახელოვანი მამულიშვილით!

ტიციანის სიტყვები რომ მოვიშველიოთ, სწორედ ასეთი ჩემპიონებისა და პროფესიონალების წყალობით

„საქართველოს მთებს თავს ადგება ოქროს ნათელი!"

**ესაუბრა**
**ალექსანდრე გიგილოშვილი**

# ლობიო ძალიან სასარგებლოა და მაღალი კვებითი ღირებულებით გამოირჩევა

ყოველწლიურად საქართველოში დაახლოებით 1800-2000 ტონა ლობიოს მარცვლის იმპორტი, ძირითადად შუა აზიის ქვეყნებიდან ხორციელდება. შესაბამისად მისი ფასი საკმაოდ მაღალია, 1 კილოგრამის ღირებულება 2,2 ლარიდან 4 ლარამდე მერყეობს, თუმცა აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენს ქვეყანას ყველანაირი რესურსი აქვს, რომ ეს დეფიციტი დააბალანსოს.

დღესდღეობით ლობიოს ძირითადი მწარმოებლები მსოფლიოში არიან: ინდოეთი, სამხრეთ ამერიკა, შუა აზიის ქვეყნები.

ლობიო საქართველოში შემოტანის დროიდან, ანუ XVI საუკუნიდან, ქართველებისთვის შეუცვლელი კულტურა გახდა. ზოგიერთს შეიძლება ის არც უყვარდეს, მაგრამ მის სარგებლიანობასა და გამძლეობას ყველა აღიარებს. უფროსი თაობა მიიჩნევს, რომ ქვეყნის ისტორიის რთულ პერიოდებში ლობიომ გადამრჩენლის ფუნქცია იკისრა. დღევანდელი დიასახლისები კი ამ კულტურას მრავალფეროვან კერძებში იყენებენ.

კვლევების თანახმად, ლობიო ადამიანს სიცოცხლეს უხანგრძლივებს. ამერიკელი ონკოლოგები გვირჩევენ, რომ სასურველია, პარკოსნები ყოველდღიურად შევიტანოთ კვების რაციონში: ეს კიბოს უჯრედების განვითარებას უშლის ხელს.

ეს საკვები მდიდარია ხსნადი და უხსნადი ბოჭკოთი. საჭმლის მონელებას უწყობს ხელს, ყაბზობისგან გიცავთ. ლობიო სისხლში შაქრის დონის რეგულირებაში გეხმარებათ. მეცნიერები ფიქრობენ, რომ ლობიოს შეუძლია ცუდი ქოლესტერინის დონის შემცირება.

გახსოვდეთ, რომ ჯანმრთელ გულ–სისხლძარღვთა სისტემას უზრუნველყოფს სასარგებლო კვების რაციონი და ლობიო მისი შემადგენელი ნაწილია. ლობიო შეიცავს კალიუმსა და მაგნიუმს – გულისთვის მთავარ მინერალებს. კალიუმი სისტემიდან ბუნებრივად დევნის ზედმეტ ნატრიუმსა და წყალს, რომლის წყალობითაც, მნიშვნელოვნად მცირდება არტერიული წნევა. მაგნიუმი კი ნერვის ფუნქციონირებისთვის არის სასარგებლო.

ლობიო მდიდარია რკინით. რკინა ადამიანის ორგანიზმის უმნიშვნელოვანესი მიკროელემენტია. ის მონაწილეობს ჟანგვა–აღდგენით რეაქციებში, სისხლის წარმოქმნის, სუნთქვისა და იმუნობიოლოგიურ პროცესებში. რკინა სისხლისა და ასეულობით ფერმენტის შემადგენლობაში შედის.

რკინის დეფიციტისთვის დამახასიათებელია შემდეგი სიმპტომები:

- დაღლილობა.
- ფერმკრთალი სახე.
- ცივი ხელები და ფეხები.
- სუნთქვის გაძნელება.
- თავბრუსხვევა.
- თავის ტკივილი.
- თმის ცვენა.
- მტვრევადი ფრჩხილები.

რკინის დეფიციტის დროს ადამიანი გაღიზიანებულია და თავს სუსტად გრძნობს, უჭირს ერთ საკითხზე კონცენტრირება. დაღლილობას გრძნობს, რადგან კუნთსა და უჯრედში ჟანგბადის დონე დაქვეითებულია. აუცილებელია ორგანიზმში რკინის დონე გაიზარდოს, რადგან მისი წყალობით მნიშვნელოვნად მცირდება ანემიის რისკი.

ლობიო თქვენს ორგანიზმს ჯგუფის ვიტამინებით გაანებივრებს. ჯგუფის ვიტამინები საკვებს ენერგიის წყაროდ აქცევს, ზრდის კარგი ქოლესტერინის დონეს, ამცირებს ანთების რისკს. ამასთან, ფოლატი და B6 გულ–სისხლძარღვთა დაავადების განვითარების რისკს მნიშვნელოვნად ამცირებს. იაპონელი მკვლევარები თვლიან, რომ ფოლატისა და B6-ის წყალობით, მამაკაცებში ძალიან დაბალია გულის უკმარისობით, გულის დაავადებითა და ინსულტით გამოწვეული გარდაცვალების მაჩვენებელი.

ზოგიერთი მკვლევარი თვლის, რომ ლობიო კიბოს განვითარების რისკს ამცირებს. ლობიო ანტიოქსიდანტებითაა მდიდარი და თავისუფალი რადიკალებისგან გიცავთ. მოგეხსენებათ, თავისუფალი რადიკალები ვნებს თქვენს უჯრედებს. 90 000 ქალბატონზე ჩატარებულმა ექსპერიმენტმა ცხადყო, რომ იმ კატეგორიაში, ვინც ლობიოს ან ოსპს 8 წლის განმავლობაში კვირაში მინიმუმ ორჯერ მიირთმევდა, ნაკლები იყო ძუძუს კიბოს განვითარების რისკი.

ლობიოს წარმოშობის ორი კერა არსებობს: ამერიკა და სუბტროპიკული აზია. ამისდა მიხედვით ლობიოს ყოფენ ორ ჯგუფად.

აზიური წარმოშობის ლობიო უფრო გავრცელებულია, წვრილმარცვლიანია, დაბალტანიანია, გრძელი და ვიწრო პარკით, პარკში მარცვლების დიდი რიცხვით-6 და მეტი.

ამერიკული ლობიოსათვის დამახასიათებელია მსხვილმარცვლიანობა ფართე მოკლე პარკი და მარცვლების მცირე რიცხვი პარკში 3-6 მარცვალი, ღერო მაღლა მხვიარა და მოითხოვენ მეტ ტენიანობას.

ლობიოს გვარს მიეკუთვნება 150-მდე ბოტანიკური სახეობა. მათგან კულტურაში ცნობილია 20 სახეობა. ყველაზე მეტად გავრცელებულია ერთი სახეობა – ჩვეულებრივი ლობიო – Phaseolus vulgaris L.

ლობიო ძირითადად გამოიყენება სასურსათოდ. ეს განპირობებულია იმით რომ, ლობიო მდიდარია ცილებით (ჯიშების მიხედვით) 20-30% – მდე, ნახშირწყლებით 50-55%, აგრეთვე მისი თესლი შეიცავს 2-3.5%-მდე ცხიმს.

ლობიოს ცილა შეიცავს შეუცვლელ ამინომჟავებს, რომელთა მიღება აუცილებელია ადამიანის ორგანიზმის ზრდა განვითარებისთვის.

ლობიოს ცილა მონელებადობის მხრივ უახლოვდება ცხოველურ ცილას, მას ადამიანის ორგანიზმი კარგად ითვისებს. ლობიო კალორიულობით 3.5-ჯერ აღემატება კარტოფილს, 5-ჯერ აღემატება კომბოსტოს და ა.შ.

ლობიოს მწვანე პარკს აქვს მრავალმხრივი სასურსათო გამოყენება – ის მდიდარია ვიტამინებით, შეიცავს შაქარს, სახამებელს და სხვ.

ლობიოს მარცვლიდან და პარკიდან ამზადებენ სხვადასხვა სახის ცივ და ცხელ საუზმეს,საწებლებს, წვნიან საჭმელებს, და ამზადებენ სხვადასხვა ნაციონალურ კერძებს. ლობიოს თესლისაგან ამზადებენ ფქვილს, რომელიც გამოიყენება ხორბლის ფქვილთან ერთად საკონდიტრო წარმოებაში და მაკარონის დასამზადებლად.

ლობიო პარკთან ერთად გამოიყენება საკონსერვო წარმოებაში. გარდა ამისა თესლის მოსავლის აღების შემდეგ ნარჩენი ნამჯა გამოიყენება საქონლის საკვებად. ლობიოს მწვანე ნორჩი ღერო – ფოთლისაგან ამზადებენ ლიმონის მჟავას.

ლობიოს აქვს დიეტური თვისებები გამოიყენება თირკმელების, ნაღვლის ბუშტის, ნერვიული სისტემის და კუჭ-ნაწლავის დაავადებების შემთხვევაში. მისგან ამზადებენ სხვადასხვა დაავადების სამკურნალო მედიკამენტებს.

ლობიოს აქვს უდიდესი აგროტექნიკური მნიშვნელობა. ის როგორც სხვა პარკოსანი კულტურები აგროვებს ბიოლოგიურ აზოტს და საუკეთესო წინამორბედია თავთავიანი და სხვა კულტურებისთვის(პარკოსნების გარდა).

### ნიადაგის დამუშავება და განოყიერება

ლობიო ნიადაგის მიმართ საკმაოდ მომთხოვნი კულტურაა, ვიდრე სხვა სამარცვლე პარკოსანი კულტურები.

ლობიო ცუდად ვითარდება ცივ, თიხნარ ნიადაგებზე, სადაც ნიადაგის ზედაპირთან ახლოსაა გრუნტის წყალი. აგრეთვე მჟავე ნიადაგებზე.

ლობიო ადვილად ეგუება ნიადაგის მცირე მჟავიანობას, მაგრამ გაცილებით კარგ მოსავალს იძლევა ნეიტრალურ ნიადაგებზე.

ლობიოსათვის ნიადაგის დამუშავება უნდა განისაზღვროს წინამორბედი კულტურის მიხედვით. მაგ: თავთავიანებისაგან განთავისუფლებული ნაკვეთი ჯერ უნდა აიჩეჩოს (აოშვა) 10-12 სმ-ზე სარეველების გამოტყუების მიზნით შემდეგ უნდა გადაიხნას 20-25 სმ – სიღრმეზე, ან მოხვნამდე შეტანილი უნდა იქნას ტოტალური მოქმედების ჰერბიციდი და 2-3 კვირის შემდეგ გადაიხნას მზრალად (შემოდგომაზე).

გაზაფხულზე ნიადაგის ნაყოფიერების მიხედვით (საჭიროა გაკეთდეს ნიადაგის ანალიზი) შეტანილი უნდა იქნას C სასუქი (4590C45). ლობიო თვითონ წარმოადგენს აზოტფიქსატორს მაგრამ განვითარების პირველ ფაზაში აუცილებელია აზოტოვანი სასუქი. თესვი წინ 2-3 დღით ადრე აუცილებელია ნიადაგის კულტივაცია და მოსწორება.

### თესლის შერჩევა და თესვა

დასათესად შეძენილი უნდა იქნეს ზონისათვის დარეგისტრირებული ჯიში, რომელსაც უნდა ჰქონდეს თესლის ხარისხის დამადასტურებელი საბუთი. აზოტის ფიქსაციის გაძლიერების მიზნით ლობიოს თესლს უშუალოდ თესვის წინ ამუშავებენ ნიტრაგინით. ლობიოს თესვის სხვადასხვა წესი არსებობს წმინდა ნათესი და სხვა კულტურაში შეთესილი. აგრეთვე ლობიო ითესება მწკრივებად, კვადრატულ ბუდობრივად, ლენტური წესით, ლენტებს შორის 65 სმ, ხოლო ლენტებში მწკრივებს შორის 15 სმ.

წმინდა თესვას მიმართავენ დაბალმოზარდი (კუტი) ფორმების თესვისას მწკრივთა შორის 45-50 სმ. ხოლო კვადრატულ-ბუდობრივად ითესება მხვიარა ფორმები (ჯიშები) 60X60სმ კვებით არით.

ლობიოს თესვისას ნორმა ჰექტარზე წმინდა თესვისას განისაზღვრება 60-120 კგ (ჯიშების მიხედვით: წვრილთესლიანი ჯიშები ითესება უფრო ნაკლები ნორმით, ხოლო მსხვილმარცვლიანი უფრო დიდი ნორმით). კვადრატულ-ბუდობრივი წესით თესვისას 30-40 კგ – ია საჭირო.

გამოკვლევებით დადასტურებულია, რომ ლობიოს ყველაზე დიდი მოსავალი მიღბულია ჰექტარზე 300-350 ათასი თესლის დათესვისას,რაც დაახლოებით უდრის 100-120 კგ/ჰა-ზე, ხოლო წვრილთესლიანი ჯიშებისათვის საჭირო იქნება 50-60 კგ/ჰა-ზე. საშუალო სიდიდის მქონე თესლისათვის კი იქნება მათი საშუალო ციფრი. ლობიოს მოკლე სავეგეტაციო პერიოდის ჯიშები ითესება სანაწვერალოდაც.

ლობიო სითბოს მოყვარული მცენარეა, თესლის გაღივებისათვის საჭირო ტემპერატურა 8-10 გრადუსს უდრის. ამასთანავე, ლობიოს ნორჩი ნაზარდი ადვილად ზიანდება 1-20 გრადუს ყინვის დროსაც კი. ამიტომ ლობიოს თესვა უნდა დაიწყოს მაშინ, როდესაც ყინვების საშიშროება უკვე აღარ არის და ნიადაგის სახნავ ფენაში ტემპერატურა საკმაო იქნება მისი თესლის გაღივებისათვის.

საქართველოს აგრო-კლიმატური პირობების მრავალფეროვნების გამო ასეთი ტემპერატურა მის სხვადასხვა ნაწილში სხვადასხვა დროს მყარდება, ამიტომ ლობიოს თესვაც სხვადასხვა დროს უნდა ჩატარდეს, დაბლობ და თბილ ადგილებში თესვა შეიძლება დაიწყოს 5 აპრილიდან, შემაღლებულ და მთიან რეგიონებში 20 აპრილიდან.



გამოკვლევების შედეგად დადგინდა, რომ ქართლის დაბლობ სარწყავ ზონაში ლობიოს თესვის ოპტიმალური ვადაა 10-15 აპრილი, ხოლო სანაწვერალოდ თესვისას 10-20 ივლისი (ქერის აღების შემდეგ).ლობიოს თესლის ჩათესვის სიღრმე 4-5 სმ-ია. ნიადაგის სტრუქტურის გათვალისწინებით ± 1-2 სმ.

### ნათესის მოვლა

ფერმერმა უნდა გაითვალისწინოს, რომ წყლის, ჰაერისა და საკვები ნივთიერებების ნორმალური რეჟიმი ლობიოს მაღალი მოსავლის მიღების საუკეთესო პირობაა. ამიტომ ნიადაგი ლობიოს ნათესის ქვეშ ყოველთვის უნდა იყოს ფხვიერი და სუფთა მდგომარეობაში.

პირველი კულტივაცია წარმოებს ლობიოს პირველადი ფოთლის განვითარების შემდეგ. მას უნდა მიყვეს თოხნა. გათოხნიდან 10-15 დღის შემდეგ უნდა ჩატარდეს მეორე კულტივაცია თან თოხნა. ნიადაგის დასარევლიანების მიხედვით განისაზღვრება შემდგომი ღონისძიებები. სარეველების წინააღმდეგ შესაძლებელია გამოვიყენოთ ჰერბიციდი.

სარწყავ პირობებში ლობიოს პირველი მორწყვა შეიძლება ჩატარდეს დათესვისთანავე (ამინდის მიხედვით), მორწყვის რაოდენობა დამოკიდებულია ნიადაგის ტიპზე, რელიეფზე და ამინდზე. მორწყვის შემდეგ თუ ნიადაგი პირს შეიკრავს საჭიროა კულტივაცია, ამიტომ მორწყვა ტარდება კულტივაციის ან თოხნის წინ.

ცხელი ამინდის პირობებში რწყვა დილის და საღამოს საათებში უნდა ჩატარდეს ლობიო ვერ იტანს წყლის ჩადგომას. ტენის ნაკლებობა განსაკუთრებით უარყოფითად მოქმედებს მცენარეზე ყვავილობის პერიოდში, ტენის ნაკლებობა იწვევს ყვავილის ცვენას. აუცილებელია რწყვა ჩატარდეს დაკოკრების ფაზაში. კუტი საადრეო ლობიოს ჯიშებისათვის ვეგეტაციის განმავლობაში საკმარისია 3-4 მორწყვა, ხოლო საგვიანო ხვიარა ჯიშებისათვის 5-6 – ჯერ და შეიძლება მეტიც იყოს საჭირო.

### სანაწვერალო ლობიო

სანაწვერალო ლობიოს თესვა, ან ერთი და იგივე ფართობზე განმეორებითი თესვა-დამატებითი მოსავლის მნიშვნელოვანი წყაროა, ამის საშვალებას იძლევა საქართველოს კლიმატური პირობები. ქერის მოსავლის აღების შემდეგ ან საადრეო ლობიოსაგან განთავისუფლებული ნაკვეთი უნდა მოიხნას, დაკულტივატორდეს, მოსწორდეს და დაითესოს მოკლე სავეგეტაციო პერიოდის მქონე ჯიშები.

თესვა უნდა ჩატარდეს არა უმეტეს 10-15 ივლისისა (მოვლითი ღონისძიებები ჩატარდება იგივე, რაც წინ აღვნიშნეთ). თესლის მოსავალი აიღება 15-20 ოქტომბერს. მოსავლიანობით სანაწვერალო ნათესი არ ჩამოუვარდება გაზაფხულზე ნათესს ლობიოს.

### მოსავლის აღება, დახარისხება და შენახვა

ფერმერები სამარცვლე ლობიოს იღებენ მცენარის ქვემო და შუა ნაწილზე პარკის დამწიფების პერიოდში. დამწიფების ნიშნებია თესლი გამაგრება, პარკის გახმობა და ფოთლების ჩამოცვენა. (კუტ ფორმებში) აგრეთვე ზოგ შემთხვევაში პარკის შეფერვაც. თუ თესლს აკლია მომწიფება, გაშრობის შემდეგ ის ძნელად იხარშება.

ლობიოს მეტწილად იღებენ ხელით. ფართე მაშტაბიანი თესვის შემთხვევაში ლობიოს იღებენ კომბაინით, ამიტომ საჭიროა ჯიშების ისე შერჩევა, რომ ქვედა პარკი არ იყოს ნიადაგის ზედაპირთან ახლოს რომ დანაკარგები არ იყოს ბევრი.

ლობიოს კუტ და ნახევრადმხვიარა ფორმებს პარკების ერთდროული მომწიფება ახასიათებს, ხოლო ხვიარა ფორმების პარკის მომწიფება ზოგჯერ 3-5 კვირა გრძელდება. ამის გამო მათი მოსავლის აღება ორ ან სამ ფაზად ხდება.

ლობიო შეიძლება გაილეწოს პარკოსნებისათვის გათვალისწინებული სალეწით და შესაძლებელია ხორბლის სალეწითაც დოლისა და დეკას სათანადო დარეგულირების შემდეგ (რომ თესლის დამტვრევა არ მოხდეს). თუ მცენარე გასალეწად სათანადოდ არ არის გამშრალი შესაძლებელია ნათესი ჯერ გაითიბოს ხოლო შემდეგ გაილეწოს (აღება ორ ფაზად).

გამოლეწილი თესლი უნდა გაიშალოს საცავში და შემდეგ მოხდეს მისი დახარისხება თესლის საწმენდ დანადგარზე (პეტკუსი). უნდა შემოწმდეს თესლის ტენიანობა. 14% ტენიანობის შემთხვევაში უნდა დასაწყობდეს პირმოკრულ ტომრებში.

### ლობიოს უმთავრესი მავნებლები

საქართველოს პირობებში ლობიოს კულტურის მთავარ მავნებლად ითვლება ლობიოს მემარცვლია, რომელიც აზიანებს თესლს როგორც მინდორში, ისე საცავში. მემარცვლია გავრცელებულია თბილი კლიმატის პირობებში, როგორც ჩანს მაღალ ადგილებში გრილი კლიმატური პირობები ხელს არ უწყობს მის განვითარებას. მემარცვლიას კვერცხიდან იჩეკება მატლი რომელიც იკვებება ლობიოს მარცვლით. ხოჭო კვერცხს დებს ან მარცვალზე ან პარკზე სამარცვლე ტომრებში.

საწყობის პირობებში ლობიოს მემარცვლიას წინააღმდეგ საბრძოლველად რეკომენდირებულია თესლის ფუმიგაცია. მემარცვლიას მოსპობა თესლში შესაძლებელია აგრეთვე დაბალი და მაღალი ტემპერატურით. ლობიოს თესლი უძლებს 70°C ტემპერატურამდე გახურებას 1 სთ-ის მანძილზე. 50-60°C გრადუსზე გახურებით მისი გაღივების უნარი არ კლებულობს, ლობიოს მემარცვლია კი ამ პირობებში სრულიად იღუპება.

მინდვრის პირობებში მემარცვლიას წინააღმდეგ შესაძლებელია შეწამვლა სხვადასხვა ინსექტიციდით სხვადასხვა ფაზებში ყვავილობის დაწყებამდე და დაპარკების დროს.

**მოამზადა
ია გიგიაშვილმა**

# ვენახში ნიადაგის დაკორდების სისტემის მნიშვნელობა



უკანასკნელ ათწლეულში შეიმჩნევა მევენახეობის ექსტენსიური წარმოების ტენდენცია, რაც იმაში გამოიხატება რომ არავინ ცდილობს მთლიანად გაასუფთაოს ვენახი სარეველებისგან, პირიქით, სარეველების წინააღმდეგ ბრძოლა მიმართულია იმისკენ რომ შეიზღუდოს მათი ზრდა იმ ზომამდე, რომ მათ ხელი არ შეუშალონ ვაზის განვითარებას.

სარეველებისადმი დადებითი მიდგომა განპირობებულია არა მარტო მეურნეობის ექსტენსიური გაძღოლის ტენდენციით, არამედ იმ თვალსაჩინო უპირატესობებით, რაც სარეველებს გააჩნია ნიადაგის დაცვის საქმეში.

**სარეველების დადებითი გავლენა ვენახში შეიძლება იყოს:**

– ჰუმუსის დაგროვება;

– ეროზიის თავიდან აცილება;

– ქვენიადაგის სტრუქტურის აღდგენა;

– დაჩრდილვის გამო ნიადაგის სირბილის შენარჩუნება.

**უარყოფითი თვისებებია:**

– საკვები ელემენტების გამოტანა;

– წყლის მარაგის შემცირება ნიადაგში;

– მავნებელ-დაავადებათა გამრავლება.

უარყოფიტი თვისებები, რომლებიც სარეველებს გააჩნია, ზოგიერთ პირობებში შეიძლება დადებით თვისებად იქცეს. მაგალითად, ნალექიან ჭარბტენიან რეგიონებში – ტენის აორთქლება, ვაზის ძლიერი ზრდის პირობებში – ზრდის შეფერხება და სხვა.

სარეველების როლის ერთმნიშვნელოვნად შეფასება შეუძლებელია. მას ამა თუ იმ ეკოლოგიურ პირობებში, შეუძლია დადებითი და უარყოფითი როლი შეასრულოს.. სარეველების გარკვეული დადებითი როლის გავლენა მოხდა მას შემდეგ , რაც მევენახეობაში დაინერგა მაღალშტამბიანი ფორმები, დიდი კვების არეები და მავნებელ-დაავადებათა მიმართ ეფექტური ბრძოლის ღონისძიებები.

**ვ. გოცირიძე, ა. გოდაბრელიძე**

**ჟურნალი „ახალი აგრარული საქართველო“**





# თემატური პრეზენტაცია ბაგა-ბაღში

ძნელია, მაგრამ სახალისო და საამაყოა საბავშვო დაწესებულებაში მუშაობა. არიან ადამიანები, რომლებიც თავისი მოღვაწეობით ეწევიან საზოგადოებრივ საქმიანობას, თავისი ცხოვრების გარკვეული ნაწილი საბავშვო ბაღში პატარებზე ზრუნვას შეალიეს და დღესაც ჩვეული ენერგიით აგრძელებენ ამ მეტად საპატიო საქმეს.

29 მარტს ყვარლის №3 საბავშვო ბაგა-ბაღის გამგე, ქალბატონი ნონა დავითაშვილი ჩვეული ენერგიით და სითბოთი ხვდება მოწვეულ სტუმრებს. გაზაფხულის აღსანიშნავად უფროსი ასაკის ჯგუფში ჩატარდა სარაიონო თემატური აქტივობა. თემა: „მცენარეების" შეჯამება-პრეზენტაცია, რომლის სულისჩამდგმელი და ხელმძღვანელი არის ჯგუფის აღმზრდელ-მასწავლებელი ქეთევან სეფაშვილი.

თემატური მეცადინეობა ითვალისწინებდა ბავშვთა განვითარების ახალ სტანდარტებს, რომელიც ერთ-ერთი ყველაზე თანამედროვე და ეფექტური მოდელია. ახალი მოდელი ემსახურება არა მხოლოდ ცალკეული უნარების განვითარებას, არამედ ბავშვის პიროვნული და გონებრივი განვითარების ხელშეწყობასაც.

პრეზენტაციაზე წარმოდგენილი იყო ბავშვების ცოდნის დონე. უპირველესი მიზანი კი მათი დისციპლინაა, რომელიც პირველი ეტაპია სკოლისათვის მოსამზადებლად. ასაკის მიუხედავად, ბავშვებმა სრულად გამოამჟღავნეს ცოდნა და უნარჩვევები, აქტივობა წარიმართა კითხვა-პასუხის რეჟიმში, მათი დიალოგი იყო სწორი და უშუალო.

ყველაზე საინტერესო და გასაოცარი იყო მათი პრაქტიკული მუშაობა, რომელიც ბაღის სტანდარტების ახალ მეთოდს ითვალისწინებდა. ბავშვებმა საალმზრდელო ჯგუფში მოაწყვეს „მინი ბაღნარი" და „მინი სათბური" სწორად განმარტეს მათი მნიშვნელობა და დანიშნულება.

ასევე წარმოდგენილი იყო მცირე აპლიკაციურ და დანართებზე მუშაობის პროცესი, რომელსაც აღმზრდელის თანაშემწე მ. სეფაშვილი უძღვებოდა, ბავშვებმა თავიანთი ნამუშევრები გამოფინეს ჯგუფის ოთახში.

ღონისძიების დასასრულს ბაგა-ბაღის გამგემ, ქალბატონმა ნონა დავითაშვილმა მადლობა გადაუხადა ქეთინო მასწავლებელს ამ დიდი დაუღალავი შრომის, ენერგიის და ენთუზიაზმისთვის, რომელიც ამ საინტერესო ღონისძიებას მოახმარა.

მე, როგორც საჯარო სკოლის მასწავლებელმა, ბავშვების მომზადების დონე შევაფასე დადებითად, მადლობას გიხდით ასეთი ხალისიანი და საინტერსო ღონისძიებისათვის.

ქეთინო მასწავლებელო, ჩვენ, მშობლებს გვწამს, რომ ასეთი ენთუზიაზმით გააგრძელებთ საქმიანობას და კიდევ ბევრ სიხარულს აჩუქებთ თქვენს აღსაზრდელებს.

**ლალი წოდოლიშვილი,**
**ილია ჭავჭავაძის სახელობის ქ. ყვარლის №1 საჯარო სკოლის მასწავლებელი**

# ძვირფასო ყვარლელებო, საყოფაცხოვრებო ნარჩენებს მივუჩინოთ ადგილი მხოლოდ ურნებში...

ყოფილმა გამგებელმა ილია მზექალაშვილმა დიდი საშვილიშვილო საქმე გააკეთა. ყვარლის ილიას გორის ასასვლელში, ეკლესიის გვერდით და შემოგარენში სასაფლაოს გზაზე ასფალტი დაასხა და განათებები მოაწყო და კიდევ უფრო გალამაზდა შემოგარენი.

ცოტა ხნის წინ ყვარელი სუფთა ქალაქად გამოცხადდა. ეს სასიხარულო ამბავი დიდი დამსახურებაა იმ ადამიანების, რომლებიც მუხლჩაუხრელად, დიდი სიყვარულით და ერთგულებით ემსახურებიან ამ დიდ და მნიშვნელოვან საქმეს.

მათ შორის არიან ააიპ ყვარლის კეთილმოწყობის სამსახურის დირექტორი გიგლა კუპრაშვილი, დირექტორის მოადგილე შენგელი ხიზანიშვილი, დეკორატორი მაია ბუჯიაშვილი, ზედამხედველი მალხაზ ბენდიანიშვილი და მათი მუშები.

ილიას გორის ასასვლელში, წყაროსთავის ეკლესიასთან დიდი ბარდები და ნაგავი იყო. ცოტა ხნის წინ უბნის სახელით მივმართეთ ბატონ როსტომ სესიაშვილს და დასუფთავების სამსახურის უფროსს, ბატონ გიგლა კუპრაშვილს. მათ გულთან ახლოს მიიტანეს ჩვენი თხოვნა. რამდენიმე დღიანი დაუღალავი შრომით გაასუფთავეს ეს ტერიტორია. მათი წარმატება აღარ გაგვკვირვებია ამ კოლექტივის თავდაუზოგავი შრომის შემყურეს. აქ არ იგრძნობა უფროს-უმცროსობა, ყველა მუშებთან ერთად შრომობს.

მთავარია, რომ ყვარელში ყველა პირობაა შექმნილი დასუფთავების სამსახურის მიერ. სადაც საჭიროა ყველგან დადგეს ურნები, ნაგავი დროულად გადის ქალაქიდან.

ჯერი ჩვენზეა ძვირფასო ყვარლელებო. საყოფაცხოვრებო ნარჩენებს მივუჩინოთ ადგილი მხოლოდ ურნებში, რათა დავიცვათ სისუფთავე, რომ ყვარელი უფრო მიმზიდველი და ლამაზი იყოს.



და ბოლოს ამ სასიკეთო საქმისკეთებისათვის დიდ მადლობას მოვახსენებ ბატონ როსტომ სესიაშვილს, ააიპ დასუფთავების უფროსს, ბატონ გიგლა კუპრაშვილს და მთლიან კოლექტივს.

**ალიკა და გურამ მარკოზაშვილები, გია(ჩხოტა) მაისურაძე**

# ილია დიასამიძის ხსოვნას

## სიმართლისმოყვარე, დიდად გულწრფელი და სხვათა ღირსების ამღიარებელი

პროფესიით ფილოლოგი ვარ და წერა არ მეზარება, პირიქით, მეხალისება კიდეც, მაგრამ რაც ამ წერილის დაწერაზე მემართება, არ ვიცი, რა დავარქვა. ვერ ვწერ, ოღონდ მართლა!

თავისი უბრალოებით, სისადავით, აკადემიურობით, დარბაისლური მიხვრა-მოხვრით თვალწინ მიდგას და ცრემლები მიშლის წერას.

როგორც იტყვიან, როცა „ჭკვაში ჩავვარდი", ე. ი. ფეხი რომ ავიდგი და ლაპარაკი ვისწავლე, იქიდან ვიცნობ. მომწონდა მისი ყურადღება, შეკითხვები ოჯახის წევრებზე, მეგობრებზე (თან 3-4 წლის ვარ). მომწონდა მისი თეთრი „კიტელი", მანქანა, რითაც დადიოდა – „ვილისი". მისი რეზინის ჩექმები, ხანდახან ხელით რომ გადმოიტანდა – „მამა" – იკივლებდა მისი გოგონა, შეაფრინდებოდა გულზე, მოეფერებოდნენ ერთმანეთს, იტყოდა: „როგორ დავიღალეო" და შესთავაზებდნენ თუ არა საჭმელს, იკითხავდა: „ბავშვებს აჭამეთო?"

ბავშვები ჩვენ ვიყავით: მე, დოდო და მისი ტყუპის ცალი – თემური, თანატოლები, მეზობლები, „სახლობანას „მოთამაშენი", მუდმივად ერთად მყოფნი.

როცა წამოვიზარდე, დედაჩემმა მითხრა, უმაღლესი განათლება აქვსო და დაამატებდა: – „შენც კარგად ისწავლე, რომ ყველა პატივს გცემდეს და ყველას უყვარდეო და ... ასე გახდა ბატონი ილია გიორგის ძე დიასამიძე ჩემთვის და ჩემი დაძმებისთვის ნამდვილი იდეალი.

დიასამიძეები ყვარელში აჭარიდან ჩამოსახლებულან, ბატონი ილიას პაპა, პავლე უსამართლობას გამოქცევია ყვარელში. მას ორი შვილი ჰყავდა: მიხა და გიორგი. მიხა პაპას მეც კარგად ვიცნობდი (90 წლის გარდაიცვალა), მამა იყო იზა და მიშა დიასამიძეებისა, ხოლო გიორგი, ანუ ილო დიასამიძის მამა, 42 წლის ასაკში ტრაგიკულად დაღუპილა. იგი ნათლისმცემლის ეკლესიის მშენებლობის დროს ხარაჩოდან გადმოვარდნილა. ორი წლის ყოფილა ილია, მამით რომ დაობლებულა. როგორც თვითონ იგონებდა ხოლმე სინანულით: „ვერ აღვიქვი მამაჩემის სიკვდილი, ხალხი რომ მოდიოდა სამძიმარზე, მიხაროდაო".

ბატონი ილო 1913 წელს არის დაბადებული, 1915 წელს გარდაეცვალა მამა, 42 წლის. გამოდის, რომ გიორგი დიასამიძე 1873 წელს იყო დბადებული. ბოდიშს ვიხდი, რომ ასე ჩაკირკიტებით მივყვები ფაქტებს, მაგრამ ისეთი საინტერესო ამბები შევიტყვე ბატონ ილიას შვილის, დოდოსგან, რომ ვფიქრობ, თქვენც დაინტერესდებით.

პავლე დიასამიძესა და ილია ჭავჭავაძეს გულთბილი მეზობლობა ჰქონდათ. პავლეს უამბნია ილიასთვის თავისი ცხოვრების ისტორია, რაც შემდეგ მწერალს ცნობილი მოთხრობის „გლახის ნაამბობის" თემად გამოუყენებია. ამას ჰყვებოდნენ უფროსი თაობის დიასამიძეები და ჰყვებიან გიორგის და მიხას შვილიშვილებიც.

ქალბატონი დოდო იმასაც დამტკიცებულად ამბობს,რომ ჭავჭავაძის ოჯახისგან ნაჩუქარი ჰქონდათ ძვირფასი ხის მასიური კარადა, ტევადი, მთელი კედლის სიგრძისა და ხარატისაგან მოჩუქურთმებული, (ჰოო, გამახსენდა) მეც მინახავს ეს კარადა ჩემს ბავშვობაში გიგა დიასამიძის ოჯახში, ოღონდ ახლა აღარაფერი ვიცი, სად დგას, რა ბედი ეწვია ჭავჭავაძეებისეულ ნივთს.

ობლობამ, გაჭირვებულმა ცხოვრებამ და მუხლჩაუხრელმა შრომამ ბავშვობაშივე ფოლადივით გამოაწრთო ილია დიასამიძე. მას სწავლისადმი დიდი მიდრეკილება გაუჩნდა, შეცოდების გრძნობა, სასომიხდილის დაიმედება, დიდი ადამიანური თვისებები ღმერთმა დაანათლა.

დიდი ილია ჭავჭავაძე ბრძანებდა: „კაცს რაკი ღვთის მადლი ჩაესახება გულში, მდიდარია თუ ღარიბი, მაინც მადლის გზაზე წავაო" და ამ ღვთის მადლის ჩასახებით ილია დიასამიძე დიდი შრომისა და გარჯის შედეგად დაადგა მადლის გზას. ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტზე. მაშინ 1935 წელი იდგა. საინტერესოდ განვლო სტუდენტობის წლებმა და 1940 წელს უკვე დიპლომიანი, სწავლული დანიშნული იქნა ახალსოფლის საშუალო სკოლის დირექტორად. სკოლის ახალგაზრდა ხელმძღვანელმა (რადგანაც ღვთისგან ჰქონდა მომადლებული ბავშვების, მოსწავლე-ახალგაზრდობის, პედკოლექტივის და, საერთოდ, ნებისმიერი ადამიანისადმი სწორი, ადამიანური მიდგომა) სამი წლის შემდეგ დაიმსახურა რაიონული გაზეთის რედაქტორად დაწინაურება.

ილია დიასამიძეს, როგორც რედაქტორს საინტერესოდ ახაიათებს პოეტი ილო ბეროშვილი. 1982 წელს გაზეთ „ყვარელს" დაარსებიდან 50 წელი შეუსრულდა. 2 დეკემბრის ნომერში დაბეჭდილია პოეტ ილო ბეროშვილის ვრცელი სტატია სათაურით – „ამაგდარი". ამ სტატიაში გაშუქებულია რაიონული გაზეთის ყველა რედაქტორის მუშაობა, მათ შორის ილია დიასამიძის. მასში ვკითხულობთ: „1943 წელს გაზეთს რედაქტორობს ილო დიასამიძე, რომელიც არც პროფესიით და არც მოწოდებით არ იყო ჟურნალისტი, მაგრამ მას ჰქონდა დიდი ადამიანური თვისებები, რომლითაც ავსებდა ამ ხარვეზს. იყო უებრო მშრომელი, თავდადებული და თავდაუზოგავი, უანგარო, სიმართლისმოყვარე, დიდად გულწრფელი და სხვათა ღირსების ამღიარებელი. ეს პირადი ღირსებები ეხმარებოდა იმაში, რომ გარშემო ნიჭიერი ხალხი შემოეკრიბა".

1948-1961 წლებში ჟურნალისტობაში უკვე ნაცადი კადრი, პარტიის ყვარლის რაიკომის მეორე მდივნად დანიშნეს. რაიონისთვის ამ წლებში იყო ბევრი საინტერესო წამოწყება, ბევრი მნიშვნელოვანი და საშვილიშვილო საქმე.

ყვარლელებისთვის ძალიან ნაცნობი ფრაზებია ილო დიასამიძის შესახებ: „რაიონს ხუთი თითივით იცნობს", „დეტალურად იცის სოფლის მეურნეობის ამბები", „ძალიან თავმდაბალი პიროვნებაა", „არ არის სიმდიდრეს დახარბებული" და ა.შ.

დიდი ავტორიტეტი ჰქონდა ბატონ ილია დიასამიძეს, როგორც თანამოქალაქეებში, ასევე მთელ რაიონსა და მთელ საქართველოში. მის უპრეტენზიო, პატარა და კოპწია სახლში ვინ არ მინახავს სტუმრად: ნიკო კეცხოველი – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, ირაკლი ჯორჯაძე – გენერალ-მაიორი, ფარნა კახიძე – გზებისა და ხიდების მშენებლობის მინისტრი, გრიშა ზარდიაშვილი – პროფესორი, კახისა და ნუხის რაიკომის მდივნები, არჩილ ნატროშვილი – მეცნიერი და ა. შ..

გულუხვ და მხიარულ მასპინძელთან უყვარდათ სტუმრობა: გიორგი კევლიშვილს, შალვა იაშვილს, დავით კანდელაკს, ვახტანგ შავგულიძეს, ანდრო ჩხიკვაძეს, დავით ლაფაჩიშვილს, პლატონ კეშელავას და მრავალ სხვას.

50 წლის ასაკში, ანუ 1963 წელს ილია დიასამიძეს ყვარლის რაიონის ყველ-კარაქის ქარხნის ბედი მიანდეს და შეცვალა კიდეც ქარხნის არსი და იერი. აქაც საუკეთესო ოსტატები და ერთგული თანამშრომლები შემოიკრიბა და ყვარლის სულგუნი არამხოლოდ ჩვენს ქვეყანაში, არამედ საბჭოთა კავშირის დედაქალაქ მოსკოვშიც აღიარეს. საბჭოთა კავშირის ხორცის და რძის მრეწველობის სამინისტრომ გამარჯვებულად ცნო ყვარლის სულგუნი (თურმე ამის დაჯერება არ უნდოდათ და სინჯი განმეორებით აიღეს, ორივეჯერ ყვარელმა გაიმარჯვა).

ქარხნის დირექტორზე, მის ხასიათსა და მუშაობაზე უსიტყვოდ ღაღადებდა



თვითონ ქარხნის გარემო: აკურატულობა, დიდი სისუფთავე (რძის ნაწარმი ხომ სანიტარულ-ჰიგიენური პირობების გარეშე შეუძლებელია მიიღო).

კრისტალური პატიოსნება, ობიექტურობა, მაღალგონიერება – აი, ის ძირითადი თვისებები, რომლის საშუალებითაც ქალაქ ყვარლის ყველისა და კარაქის ქარხნის დირექტორი ყველასთვის მისაღები, პატივსაცემი და მისაბაძი იყო. მისი გონების ქურაში უნდა გავლილიყო ქარხნის ყველა საკითხი – მნიშვნელოვანიც და უმნიშვნელოც. ეს ყველაფერი გულის სისხლს მოითხოვდა. ბატონი ილიაც უშურველად ახმარდა გულს სამსახურს. ასე მიილია 18 წელი. ბავშვობიდანვე გამორჩეული ნიჭის შვილიშვილის, პატარა იას, მის უნახავ მოსახელეს, ილიას, ასევე უფროსი შვილიშვილების – ხათუნას და ეკას მზრუნველობაში გართულს გულმა უმტყუნა, ინფარქტი მიიღო. ძალიან დიდი მცდელობა გამოიჩინეს ექიმებმა, მაგრამ ვერაფერი უშველეს.

ეს მოხდა 1981 წელს, 26 მაისს. ბატონი ილია მარადისობაში გადავიდა.

ვერაფრით ვივიწყებ იმ ტრაგიკულ დღეს. დაზაფრულები ვსხედვართ მე და ილო ძიას ქალიშვილი, დოდო. ყურებში მიდგას ჩემი მეგობრის მოთქმა-გოდება. ვიცრემლებით და ვათვალიერებთ ლამაზ ყუთში ჩაწყობილ მის საბუთებს. დაბადების მოწმობიდან დაწყებული, სიგელებით, მედლებით, ორდენებით და დიპლომებით დამთავრებული. ყუთს ზემოდან მისი ხელით აწერია: „ნუ შეეხებით, დოკუმენტებია".

თქვენმა სათნოებამ მაპატიოს ილო ძია და მე შევახე ხელი. თქვენი არქივი გადავიკითხე. ისეთი განცდა დამეუფლა, თითქოს პირადად თქვენ განახეთ, შემდეგ დოდოს გამხნევებაში მეც გავმხნევდი, ორივე 73 წლისანი ვართ და ასეთი დასკვნა გავაკეთეთ; სიკვდილზე ძლიერი ადამიანია. იმიტომ, რომ სიყვარულის დამარხვა არავის ძალუძს. გვჯერა, რომ ბატონი ილია დიასამიძის ოჯახისადმი სიყვარულიც აქ დარჩა და დოდოს და მისი ოჯახის წევრების სიყვარულსაც მისადმი ვერავინ დამარხავს, გრძნობას ვერავინ დამარხავს. გრძნობა მარადიულია; მარადიულობასთან კი ყველაფერი უსუსურია.

სასუფეველი დაგიმკვიდროს ღმერთმა ძვირფასო ილია გიორგის ძევ!

P.S. გავედი ბოლოში და მაშინვე მივხვდი, რატომ ვერ ვიწყებდი წერას. იმის მესამედიც ვერ გამოვხატე, რაც მის მაღალ ადამიანობას ეკუთვნოდა და რასაც მე ვგრძნობდი, მაგრამ ვერაფერს ვიზამ. დროდადრო ასე მოხდება ხოლმე.

**ნინო იშხანიძე,**
**ყვარლის №1 საჯარო სკოლის უფროსი მასწავლებელი**

# ლიმონის კიდევ ერთი კარგი თვისება – იგი ანახევრებს შეცდომებს

ჩვენ სიამოვნებით ვდებთ ლიმონის ნაჭერს, ჩაიში ან ყავაში, რადგან ეს გემრიელია. ისიც ვიცით, რომ ლიმონი არამარტო გემრიელი, არამედ ძალიან სასარგებლო ციტრუსია.

ლიმონის ნაყოფი შეიცავს: მჟავებს 3,5-8,1%, შაქრებს – 1,9-3%, C ვიტამინს 45-140 მგ 100 გ-ში, აგრეთვე და ვიტამინებს, პექტინოვან ნივთიერებებს, კრინის მარილებს, ფოსფორს, კალიუმს, კალციუმსა და მაგნიუმს.

ლიმონის კიდევ ერთი კარგი თვისება მისი არომატია. რომელიც ძალიან აქტუალური პრობლემის დროს დაგვეხმარება.

კომპიუტერთან დიდხანს მუშაობის ან გართობის დროს, ძალიან დიდი დატვირთვას იღებენ თვალები. ეს კი თავის მხრივ აისახება ადამიანის ფიზიკურ და გონებრივ მდგომარეობაზე, მცირდება შრომისუნარიანობა.

შედეგად ადამიანის ფიქრისა და ყურადღების კონცენტრირების უნარი შეიძლება 90%-ით შემცირდეს, ყოველივე ამას კი საბოლოოდ ნერვული სისტემის გადაღლამდე და გამოფიტვამდე მივყავართ.

იაპონელემა ფსიქოლოგებმა კომპიუტერთან ხანგრძლივი მუშაობის-მავნე ზემოქმედების შემცირება, სამუშაო ოთახის სხვადასხვა არომატით გაჯერების ხარჯზე სცადეს, კვლევებმა აჩვენეს რომ, ლიმონის, ჟასმინის, შროშანის და ევკალიპტის არომატი, ამაღლებს შრომისუნარიანობა, ხსნის დაღლილობას, თვლემას.

გამოირკვა რომ ოთახში შროშანის სურნელი 20%-ით ამცირებს შეცდომებს კომპიუტერის კლავიატურაზე მუშაობისას, ჟასმინის არომატი უფრო ეფექტურია 30%.

საუკეთესო კი ამ კუთხით ლიმონია (50%), იგი ანახევრებს შეცდომებს, ამიტომ იმ შემთხვევაში თუ დიდ დროს ატარებთ კომპიუტერთან, გირჩევთ იქვე დაჭრილი ლიმონი დადოთ.

agrokavkaz.ge

# გამოსათხოვარი

## ლიანა ტოჩილაშვილი-მოლაშვილის გახსენება



ორმოცი დღის წინ უკანასკნელ გზაზე გაგაცილეთ ჩვენო უძვირფასესო დედა. უცნაური დამთხვევაა, რომ მამას ერთი წლისთავი და შენი გარდაცვალებიდან მეორმოცე დღე სრულდება.

თითქმის ორმოცდაორი წელი შეალიე შენს საყვარელ პროფესიას და ყოველთვის იდექი ადამიანების ჯანმრთელობის სადარაჯოზე. ყვარლის რაიონული საავადმყოფოს ლაბორანტმა დამსახურებულად მიიღე შრომის ვეტერანის მედალი და წითელი დიპლომი. წლების განმავლობაში ლოგინს მიჯაჭვულს ერთგულად გივლიდა უიშვიათესი და ერთგული მეუღლე ნეგუსი. მისი გარდაცვალების შემდგომ საუბარი არ შეგეძლო, მაგრამ თვალებით ეძებდი მას. მისი სახით ხომ ოჯახის ბურჯი დავკარგეთ.

მართალია შვილები შორს ვიყავით, მაგრამ შენთან ერთად ვაგრძელებდით ცხოვრებას, შენც მიგვატოვე და ობლებად დაგვტოვე. ცხოვრებაში კი იყავი პატიოსანი, ყველას მიმართ ყურადღებიანი და მოსიყვარულე. შენს მიერ დათესილი სიკეთე გზას გაუკვლევს ერთადერთ შვილიშვილს ანჟელას, რომელიც ძალიან გიყვარდა და მასზე დიდ იმედებსაც ამყარებდი. დღეს ის იტალიელებისათვის სამაგალითო გოგოა თავისი განათლებით და წარჩინებით. დასანანია, რომ მის უფრო დიდ წარმატებებს პაპა და ბებია ვეღარ იზეიმებთ.

თქვენი დანატოვარი კერა ისევ ისეთი სტუმართმოყვარე და თბილი იქნება, როგორც თქვენს სიცოცხლეში იყო.

გვჯერა რომ თქვენ ილოცებთ ჩვენთვის. გვჯერა ისიც, რომ თქვენი მართალი და პატიოსანი ცხოვრებით განისვენებთ იქ, სადაც უფლის წინაშე მართალნი განისვენებენ.

ჩვენს მიერ დანთებული სანთლები კი გზას გაგინათებენ მარადიული სასუფევლისაკენ მიმავლ გზაზე. გვიყვარხართ, გვენატრებით!

**შვილიშვილი ანჟელა**
**შვილები: ანა და ნანა მოლაშვილები**

## ძმარი (ჰერბიციდების ნაცვლად) სარეველების წინააღმდეგ



სარეველების საწინააღმდეგო ხსნარის დამზადება ძალიან მარტივია.

წყალში ზავდება ჩვეულებრივი (9%-იანი) ძმარი 1:1 პროპორციით, ესხურება სპეციალური ან კუსტარული შემასხურებლით სარეველებს.

გაითვალისწინეთ, რომ ძმარი უარყოფითად მოქმედებს კულტურულ მცენარეებზეც, ამიტომ იმუშავეთ ძალიან ფრთხილად და არც ნიადაგზე უნდა დაისხას.

ძმრიანი ხსნარი უნდა გამოიყენოთ მშრალ და უქარო ამინდში, რათა შესხურების შემდეგ სარეველების ფოთლებმა და ღეროებმა მოასწროს ძმრის შეწოვა – მხოლოდ მაშინა ის ეფექტის მომცემი.

მზიან ამინდში, ეს პროცესი საკმაოდ ჩქარდება. შედეგს შეუიარაღებელი თვალითაც შენიშნავთ. ერთ-ორ დღეში – სარეველები გაყვითლდება და ხმობას დაიწყებს.

თუ გსურთ მოსპოთ სარეველები ტროტუარის ფილებს შორის, ღობის გასწვრივ, ან ისეთ ადგილას, სადაც დარგული ან დათესილი არ გაქვთ კულტურული მცენარეები, ეფექტის გასაძლიერებლად, ცხელ ამინდში ხსნარს დაამატეთ მარილიც.

ზოგჯერ ძმრისა და მარილის წყლხსნარს თხევად ან გახეხილ ე.წ. სარეცხის საპონს უმატებენ.

გთავაზობთ სამუშაო ხსნარის მომზადების რამდენიმე მეთოდსა და ინგრედიენტებს:

- წყალი – 10 ლ;
- ძმარი (9%) – 2 ჭიქა 250-300მლ.;
- გახეხილი საპონი ან თხევადი საპონი – 2 სუფრის კოვზი;
- მარილი (ფხვიერი) – 2 სუფრის კოვზი.

ყველა ნივთიერება კარგად უნდა გაიხსნას ერთმანეთში და შეესხუროს სარეველებს.

შეგიძლიათ გამოიყენოთ შემდეგი ხსნარიც:

- წყალი – 2 ჭიქა – 250-300მლ.;
- არაყი – 50 მლ;
- თხევადი საპონი – 2 სუფრის კოვზი

თუ ექსტრემალური ვითარება შეგექმნათ:

- ძმარი (9%) – 2 ჭიქა;
- ლიმონის მჟავა – 2 სუფრის კოვზი;
- ჭურჭლის სარეცხი საშუალება – 2 სუფრის კოვზი;
- არაყი – 50 მლ;
- წყალი – 3 ჭიქა.

## თქვენს აგარაკზე ან ეზოში ეს მცენარე თუ შენიშნეთ, ნუ იჩქარებთ მის მოშორებას!

ეს მცენარე ბევრი მებაღისთვის კარგადაა ცნობილი, დანდურთან ბრძოლა ხომ არც ისე ადვილია. საკმაოდ ჯიშიანი სარეველაა. დანდური 25 წლამდე ცოცხლობს. ბევრი ადამიანი ამ მცენარეს, როგორც უკვე აღვნიშნეთ, სარეველად მიიჩნევს, თუმცა გვინდა დაგამშვიდოთ, ეს სარეველა კი არა, სამკურნალო მცენარეა და თუ თქვენს ბაღში შენიშნეთ, მის მოშორებას ნუ იჩქარებთ. საცოდაობაა დანდურის სამკურნალო თვისებების არგამოყენება.

ერთნაირად სასარგებლოა როგორც ბაღის, ისე ველური დანდური. ამ მცენარის ფოთლები მდიდარია ვიტამინებითა და მინერალებით. დანდური შეიცავს რკინასა და ადვილად ათვისებად კალცს. მდიდარია ვიტამინითაც. ყველა ეს ნივთიერება ხელს უშლის სიმსივნური უჯრედების წარმოქმნას და ძალიან დადებითად მოქმედებს ადამიანის გულ-სისხლძარღვთა სისტემაზე. დანდურის გამოყენება რეკომენდებულია ჰიპერაქტიური ბავშვებისთვის და ძალიან კარგად მოქმედებს



მათ ნერვულ სისტემაზე. ბევრმა დიასახლისმა იცის დანდურის გემო და მის სალათებს და მწნილსაც კი აკეთებენ.

ამ მცენარეს ხრაშუნა და ლიმონის სიმჟავის მქონე არომატი აქვს. დანდურით ძალიან კარგი სალათის გაკეთებაა შესაძლებელი. ქორფა დანდური ძალიან უხდება ხორცსა და თევზს. კარგია მისი გარნირად გამოყენება. დანდურს ხარშავენ, უმატებენ ნიორს, ძმარს და თუშავენ ხახვთან ერთად, ის ძალიან უხდება სოკოსაც.

# ლევან ელოშვილი – 70

## ასე ჩაქრა სიცოცხლე ნათელი კაცისა, რომელმაც შეუდარებელი მეგობრობა იცოდა, გულში ღალატს არ გაივლებდა...

14 აპრილს 70 წელი შეუსრულდებოდა ლევან ელოშვილს, დაუვიწყარ პიროვნებას, ვინც თავისი ხანმოკლე სიცოცხლის მანძილზე ღირსეულად მოიხადა მამულიშვილური ვალი და დარჩა იმის მაგალითად, თუ როგორ უნდა გიყვარდეს მშობელი ქვეყანა, მისი წარსული, აწმყო და მომავალი.

სამწუხაროა, რომ ჩვენს შორის აღარ არის უნიჭიერესი და იშვიათი ადამიანური თვისებებით შემკული, მრავალმხრივი ცოდნითა და ღვთისგან მინიჭებული ტალანტით უხვად დაჯილდოებული კაცი, რომელმაც მეტეორივით ჩაიქროლა ყვარლის რაიონის საზოგადოებრივი ცხოვრების ასპარეზზე და უდროოდ ჩაქრა, ვითარცა ციდან მოწყვეტილი ვარსკვლავი.

თავისი ხანმოკლე ცხოვრებისა და მოღვაწეობის მანძილზე მან ბევრის შექმნა შეძლო, თუმცა კიდევ უფრო მეტი კეთილშობილური ჩანაფიქრი განუხორციელებელი დარჩა. მაგრამ იმდენის შექმნა კი მოახერხა, რომ მისი სახელი და ხსოვნა გაუხუნარი დარჩენილიყო თანამედროვეთა გულებში.

დაიბადა 1949 წელს ყვარელში. 1966 წელს დაამთავრა ყვარლის მეორე საშუალო სკოლა და ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის ფაკულტეტზე, რომელიც დაამთავრა 1971 წელს ფილოსოფიის სპეციალობით.

უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ბრუნდება ყვარელში და იწყებს შრომით და საზოგადოებრივ საქმიანობას. განათლებული და ნიჭიერი ახალგაზრდა მალე ექცევა რაიონის ხელმძღვანელობის ყურადღების ცენტრში და 1972 წელს აწინაურებენ კომკავშირის რაიონული კომიტეტის მეორე მდივნის თანამდებობაზე, ხოლო 1973 წლიდან იგი უკვე რაიონის ახალგაზრდობის ლიდერი ხდება – ირჩევენ კომკავშირის რაიკომის პირველ მდივნად.

ამ პოსტზე მან იმთავითვე გამოიჩინა თავი, როგორც ინიციატივიანმა და პერსპექტიულმა ლიდერმა, რომელიც გამოირჩეოდა არაორდინალური და დამოუკიდებელი აზროვნებით, მინდობილი საქმისადმი ერთგულებით და მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობით. სიახლეებისადმი შესაშური მისწრაფებით, რაც ესოდენ მნიშვნელოვანი ფაქტორია ახალგაზრდობასთან და ზოგადად, მომავალ თაობასთან მუშაობაში, მათი სულიერი და ფიზიკური აღზრდის სწორად წარმართვასა და ჰარმონიულ განვითარებაში. აქედან გამომდინარე, მან ძალიან მალე მოიპოვა დიდი ავტორიტეტი და პატივისცემა როგორც რაიონში, ისე მთელი რესპუბლიკის მასშტაბით. ყველაფერი მიუთითებდა იმაზე, რომ მისი სახით მეტად სერიოზული და პერსპექტიული ხელმძღვანელი-მუშაკი ყალიბდებოდა.

მის შემდგომ წარმატებულ კარიერასა და წინსვლას თითქოს არაფერი ემუქრებოდა, მაგრამ მოხდა სრულიად მოულოდნელი რამ: რაიონის ხელძღვანელ ორგანოებში 1974 წლის ბოლოს განხორციელდა საკადრო ცვლილებები, პარტიის რაიკომისა და რაისაბჭოს აღმასკომის ახალმა ხელმძღვანელებმა, იმ წლების მანკიერი პრაქტიკის შესაბამისად, ალმაცერად შეხედეს წინა ხელმძღვანელების მიერ დაწინაურებულ კადრებს და მათ შორის კომკავშირის ლიდერსაც, რასაც შედეგად ის მოჰყვა, რომ 1975 წელს ყურით მოთრეული ბრალდებებითა და ჭორებზე აგებული ბანალური მიზეზებით ლევან ელოშვილს სრულიად უსაფუძვლოდ დაატოვებინეს თანამდებობა.



მის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ამ უსამართლობამ ვერ გატეხა მისი სულიერი სიმტკიცე და შემოქმედებითი აღმაფრენა, ისე, რომ მისი ზნეობრივი სისპეტაკე, გამორჩეული ნიჭიერება და სიმართლე არავის დაუყენებია ეჭვის ქვეშ. სულ მალე იგი რაიონის განათლების განყოფილების მაშინდელი ხელმძღვანელის დავით ლაფაჩიშვილის მიწვევით ამ დარგში იწყებს მოღვაწეობას სასკოლო ინსპექტორის თანამდებობაზე და ამ პოსტზეც მალე გამოიჩინა თავი, როგორც ფრიად ერუდირებულმა და მაღალკვალიფიციურმა სპეციალისტმა. როგორც ნათქვამია, სანთელ-საკმეველმა თავისი გზა არ დაკარგა და ლევან ელოშვილმაც სულ მოკლე ხანში შეძლო მავანთა უღირსი მოქმედებით შელახული პრესტიჟის სრულფასოვნად აღდგენა.

სწორედ ამ ფაქტორის გათვალისწინებით, 1976 წელს რაიონში მოსული ახალი პარტიულ ხელმძღვანელი რობერტ ურჯუმელაშვილი, რომელიც თავისი წინამორბედისგან შესაშური კეთილშობილობითა და კაცური თვისებებით გამოირჩეოდა, იმთავითვე დაინტერესდა ლევან ელოშვილის პიროვნებით, ჯეროვნად შეაფასა მისის საქმიანი თვისებები და მალე მეტად საპასუხისმგებლო თანამდებობაზე დააწინაურა პარტიის რაიონულ კომიტეტში. ეს უკვე მის სრულ რეაბილიტაციას ნიშნავდა.

სამართალმა პური ჭამაო, იტყვიან ასეთ შემთხვევაში და მართლაც ასე მოხდა. ლევანი კვლავ თავისი შემოქმედებით სტიქიაში აღმოჩნდა. მის წინაშე ახალი პერსპექტივები დაისახა. დასანანი მხოლოდ ის გახლავთ, რაიონის იმ ხელმძღვანელთა დაუფიქრებელი და ბოროტ განზრახული ნაბიჯი რომ არა, როცა იგი კომკავშირის რაიონის პირველი მდივნის პოსტს უსამართლოდ ჩამოაშორეს და არჩეული გზა გაუმრუდეს, მისი ცხოვრება და მოღვაწეობა უთუოდ სულ სხვა მიმართულებით განვითარდებოდა და დიდი ალბათობით, ასცდებოდა იმ საბედისწერო ფათერაკს, რომელმაც მისი სიცოცხლე შეიწირა.

სხვათაშორის, სათქმელი ბოლომდე უნდა ითქვას და ხაზი გაესვას იმ გარემოებას, რომ ყველას უკლებლივ, ვინც მონაწილეობდა ლევან ელოშვილის წინააღმდეგ მოწყობილ იმ უნიჭო, უსინდისო და ცილისწამებლური სპექტაკლის ორგანიზებაში, განგების ძალამ საკადრისი მიუზღო და არც ერთი არ გაახარა ამ ცხოვრებაში.

რაც შეეხება აღმასვლის გზაზე მდგარ პერსპექტიულ და დიდი მომავლის მქონე ახალგაზრდას, როგორადაც ლევან ელოშვილი მოიაზრებოდა, მას სწორად მაშინ უმუხთლა ბედმა, როცა ამას არავინ ელოდა. მაშინდელი თაობის ყვარლელებს დღესაც ახსოვთ 1981 წლის 14 იანვრის საღამოს ყვარელი-თელავის გზატკეცილზე მომხდარი ის საზარელი ავტოავარია, რომელმაც სხვებთან ერთად 31 წლის ლევანის სიცოცხლეც შეიწირა.

ასე ჩაქრა სიცოცხლე ნათელი კაცისა, რომელმაც შეუდარებელი მეგობრობა იცოდა, გულში ღალატს არ გაივლებდა, ყველას ჭირისა და ლხინის მოზიარე იყო, უყვარდა სპორტი, სიმღერა, დროსტარება, მეგობრობა, შენატროდა ახალ შექმნილ ოჯახს და სულმოუთქმელად ელოდა თავის პირველ და ერთადერთ პირმშოს ეკას, რომლის დაბადებას ვერ მოესწრო და რომელსაც უმამოდ გაზრდა არგუნა ბედად წუთისოფელმა. დღეს იგი წარმატებული სპორტული ჟურნალისტია და თავისი გარეგნობით, მიხვრა-მოხვრითა და მანერებით ძალიან გვაგონებს თავის მამას!

აი, ასე ფატალურად დასრულდა ეს პატარა ლეგენდა – ლევან ელოშვილის ხანმოკლე და მშოთვარე, აუხდენელი ოცნებებითა და გაცრუებული იმედებით აღსავსე ცხოვრების სევდიანი ისტორია, განებავთ – სევდიანი ზღაპარი“

„ჩვენი ცხოვრება არის ზღაპარი,
ბედის მიყოლა, ან არ მიყოლა,
ჩვენი ცხოვრება აბა რა არი –
მართლაც, იყო და არა იყო რა! „

ყვარლელები, მისი თანამედროვენი და მეგობრები, ყოველთვის სინანულით და დიდი მოწიწებით იხსენებენ ლევან ელოშვილს, მუდამ ღიმილიანს, სიყვარულითა და სათნოებით სავსე, უანგარო და ზნეობრივად ამაღლებულ, სულიერად სპეტაკ და გარეგნულად უზადო ადამიანს, რომელიც სულით ხორცამდე იყო გაჯერებული ხვალინდელი დღის იმედით, უკეთესი მომავლის რწმენით და რომლის მსგავსნიც ერთეულები თუ დადიან ამ ცოდვილ ქვეყანაზე!

**ალიმან ლაფაჩიშვილი**

## ბაზარზე „ქართული რძის“ ნიშანი გამოჩნდა

მარტიდან ქართულ ბაზარზე გამოჩნდა პროდუქტები „ქართული რძის“ ნიშნით. ნიშანი ეხმარება მომხმარებელს, დარწმუნდეს, რომ მის მიერ შერჩეული პროდუქტი ნამდვილად ნედლი რძითაა დამზადებული, არ შეიცავს მცენარეულ ცხიმსა და რძის ფხვნილს.

„კავკასიის რესურსცენტრის“ მიერ ჩატარებული ეროვნული კვლევის შედეგად გამოკითხულთა უმრავლესობას სურს, რომ მათ მიერ შეძენილი პროდუქტი იყოს „ნატურალური, ეკოლოგიურად სუფთა, ნედლი რძისგან დამზადებული“, თუმცა მხოლოდ სახელითა და შეფუთვით უჭირთ სასურველი პროდუქტების გამორჩევა. „ქართული რძის“ ნიშნის დახმარებით კი ყველაფერი გაცილებით მარტივია. მოხმარებელს უკვე შეუძლია გააკეთოს ინფორმირებული არჩევანი.

„ქართული რძის“ ნიშნის გამოყენების უფლება აქვს ქვეყნის მასშტაბით რეგისტრირებულ და HACCP სერტიფიცირებულ რძის ნებისმიერ საწარმოს, რომელიც რძის პროდუქტების წარმოებისთვის იყენებს ნედლ რძეს, ახდენს მის პასტერიზაციას და უვნებელ საწარმოო პირობებში ამზადებს ყველსა და რძის სხვა პროდუქტებს.

თუკი საწარმო დოკუმენტურად და ვიზუალური შემოწმებით ვერ დაადასტურებს, რომ წარმოებაში ნედლ რძეს იყენებს, „საქართველოს ბიზნესის ინსტიტუტი“ არ მისცემს ნიშნის გამოყენების ნებართვას.

დამოუკიდებელი ორგანიზაცია რეგულარულად ატარებს რძის საწარმოების აუდიტს, ხოლო მონაცემები ახლდება ვებგვერდზე – www.georgianmilk.ge, სადაც მომხმარებელს შეუძლია გადაამოწმოს მის მიერ შერჩეული პროდუქტი და მიიღოს სრული ინფორმაცია საწარმოსა და პროდუქტების შესახებ.

„ქართული რძის“ ნიშანს უკვე იყენებს ყველის მწარმოებელი შვიდი საწარმო: „წინწყარო+“, „მილკენი“, „ყველის ქოხი“, „ცივის ყველი“, „ი.მ. ცოლაკ გრიგორიან“, „ი.მ. კარენ სიმონიან“ და „რ.კ. ხიზა“.

პროდუქტები „ქართული რძის“ ნიშნით უკვე შეგიძლიათ იხილოთ სუპერმარკეტებში: „ზღაპარი“, „სპარი“, „ნიკორა“, „ორი ნაბიჯი“, „ფრესკო“.

განცხადება ნიშნის გამოყენებაზე უკვე ოცდაორმა მეწარმემ დაარეგისტრირა. დარეგისტრირებულ საწარმოთაგან ორს პირობების გასაუმჯობესებლად ერთთვიანი ვადა აქვს მიცემული, ცამეტმა კი




შემოწმებისთვის უკეთ მოსამზადებლად თავად მოითხოვა დრო.

„ქართული რძის“ ნიშანი რეგისტრირებულია საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრში – საქპატენტი. „საქართველოს ბიზნესის ინსტიტუტის“ ნებართვის გარეშე ნიშნის გამოყენების უფლება იკრძალება კანონით.

ნიშანი მხარდაჭერილია საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ.

**სტატია მოგვაწოდა კომპანიამ „ჯიემეი ჯორჯია“**
agrokavkaz.ge

## გ ა მ ო ს ა თ ხ ო ვ ა რ ი

# ბესიკ იაშვილი

## ყვარელმა ჭეშმარიტად ღირსეული პიროვნება დაკარგა



56 წლის ასაკში მოულოდნელად გარდაიცვალა ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დეპუტატი, ღირსეული პიროვნება და მამულიშვილი ბესიკ იაშვილი.

საუკეთესო მეგობრის გარდაცვალებას მუდამ ახლავს ტკივილი და ცრემლი, ხოლო სევდა და მწუხარება უსაზღვრო ხდება. სწორედ ასეთი პიროვნება გახლდათ ბესიკი იაშვილი. იგი 1963 წელს დაიბადა ყვარელში, სწავლობდა პირველ საშუალ;ო სკოლაში, იყო ნიჭიერი და ბეჯითი მოსწავლე. მოწინავე იყო სწავლაში და ასევე წარმატებული გახლდათ სპორტში, განსაკუთრებით ფეხბურთში. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ უმაღლესი განათლება მიიღო დაღესტანში, ქ. მახაჩკალაში, სადაც დაამთავრა ტექნოლოგიური ფაკულტეტი, ღვინისა და კვების ტექნოლოგიის სპეციალობით.

უმაღლესი სასწავლების დამთავრების შემდეგ იგი მოღვაწეობდა მშობლიურ ყვარელში. მუშაობდა სპეციალობის მიხედვით სხვადასხვა საწარმოებში. სადაც არ უნდა ემუშავა, ის ყველგან ადამიანის ღირსებისადმი პატივისცემას, სიყვარულს და სითბოს ამკვიდრებდა. ახლობლების, მეგობრების, კოლეგებისა და თანამოაზრეებისათვის ბესიკ იაშვილი ყოველთვის იყო სიკეთის მთესველი ადამიანის ნიმუში. გახლდათ ჩინებული მამულიშვილი და რაინდული სულის მატარებელი, უბოროტო და გულისხმიერი კაცი, უხვად შემკული ყველა ადამიანური თვისებებით.

სამწუხაროა, რომ ამიერიდან ბესიკ იაშვილი მხოლოდ მონატრებად იქცევა ოჯახის, მრავალრიცხოვანი მეგობრებისა და ახლობლებისათვის, მისი ხატება და სახე მხოლოდ ფიქრებში თუ შეიძლება აღვიდგინოთ.

ჩვენ ყოველთვის ვიამაყებთ მისი კაცურ-კაცობით, რადგან საძმოში ყოველთვის გამოირჩეოდა გულისხმიერებითა და უშუალობით. არადა, ერთი უბრალო, მშრომელი ოჯახის შვილი გახლდათ და მხოლოდ შრომისმოყვარეობამ და ბუნებამ უბოძა ის მადლი, რომ ყვარლის ერთ-ერთი გამორჩეული ახალგაზრდა გამხდარიყო.

რა დროც არ უნდა გავიდეს, ბესიკ იაშვილი ჩვენს მეხსიერებას შემორჩება იმ ღირსეულ და დასაფასებელ პიროვნებად, რომლის არსებაში გაერთიანდა ადამიანური სიკეთის, ჰუმანურობის, ხალასი ნიჭის, საქმისადმი ერთგულებისა და მოყვასის უანგარო სიყვარულის მისაბაძი თვისებები.

ამ კეთილშობილ და გულისხმიერ პიროვნებას, საუბედუროდ, სწორედ იმ გულმა უმტყუნა მოულოდნელად, რომელიც ზღვა სიყვარულს იტევდა...

დღეს, როცა ბესიკი უკვე აღარ არის ჩვენს შორის, აუცილებლად უნდა ითქვას, რომ ყვარელმა ჭეშმარიტად ღირსეული პიროვნება დაკარგა. არადა, მისთვის სწორედ ყვარელი იყო სალოცავი ხატი: აქ გაიზარდა ბესიკ იაშვილი – როგორც მამულიშვილი, ბესიკი – როგორც პატრიოტი, ბესიკი – როგორც კარგი სპეციალისტი, საზოგადოებრივი მოღვაწე და ულალატო მეგობარი.

დიდია ტკივილი, როცა ბესიკ იაშვილის შესახებ წარსულ დროში გიწევს საუბარი, მაგრამ რას იზამ, განგების ძალას და ბედისწერის უკუღმართობას წინ ვერაფერი დაუდგება... გულისტკივილით ვუსამძიმრებთ ოჯახს, ახლობლებს, ნათესაობას და მხოლოდ ისღა გვეიმედება, რომ ვალმოხდილი მიდის ამ ქვეყნიდან, რამდენადაც თავისი სიცოცხლითა და ცხოვრებით, სუფთა სინდისითა და კაცური კაცობით მოიპოვა დაფასებული პიროვნების სახელი.

საიმედო მეგობრის მიერ დათესილი სიკეთის მადლი და კვალი ნათელი მარად დარჩება ყველას მეხსიერებაში, ვინც იცნობდა ამ ჭეშმარიტად სამაგალითო პიროვნებას. გულისტკივილით და სინანულის გძნობით ვემშვიდობებით ძვირფას მეგობარს და უფალს შევთხოვთ საუკუნო სასუფეველი დაუმკვიდროს ზეციურ საქართველოში.

**უახლესი მეგობრების სახელით**
**ლევან გამსახურდია**

**ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულო და მერია მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა საკრებულოს დეპუტატი ბესიკ იაშვილი და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახსა და ახლობლებს.**

**ლევან გამსახურდია ოჯახით მწუხარებაში თანაუგრძნობს ნინო მზექალაშვილს, მეუღლის და ილია მზექალაშვილის, სიძის ბესიკ იაშვილის მოულოდნელი გარდაცვალების გამო.**

**თინათინ ნაცარაშვილი ოჯახით მწუხარებაში თანაგრძნობას უცხადებს ნინო მზექალაშვილს, მეუღლის ბესიკ იაშვილის გარდაცვალების გამო.**

## ს პ ო რ ტ უ ლ ა ს პ ა რ ე ზ ე ბ ზ ე

# თავისუფალი ჭიდაობა

## რობერტ დინგაშვილმა ევროპის ჩემპიონატზე ბრინჯაოს მედალი მოიპოვა



მიმდინარე წლის 9-10 მარტს სერბეთის ქალაქ ნოვისადში ჩატარდა 23 წლამდელთა შორის ევროპის ჩემპიონატი თავისუფალ ჭიდაობაში, სადაც წარმატებით იასპარეზა, ყვარლის სასპორტო სკოლის აღზრდილმა რობერტ დინგაშვილმა. მან 57 კგ წონით კატეგორიაში დაამარცხა სომხეთისა და ბელორუსიის წარმომადგენლები, ნახევარფინალში მსაჯების არაობიექტურობის გამო რუს სპორტსმენთან შეხვედრაში დაფიქსირდა ფრე 4:4, მაგრამ, რადგანაც ბოლო ქულა აიღო რუსმა სპორტსმენმა, გამარჯვება მას მიაკუთვნეს.

ბრინჯაოს მედლისათვის ბრძოლაში, რობერტმა დაამარცხა ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატების პრიზიორი, ბულგარელი სპორტსმენი და ღირსეულად მოიპოვა ბრინჯაოს მედალი, რომელიც რობერტისთვის რიგით მესამე მედალია ევროპის ჩემპიონატებიდან. ამჟამად, რობერტი საქართველოს ნაკრებთან ერთად ემზადება მსოფლიო ჩემპიონატისათვის. (მწვრთნელები: ვ. ჭანტურიძე, გ. მეტრეველი, მ. როზომაშვილი)

## ანრი სურამლიშვილი ქვეყნის ჩემპიონია



7-9 აპრილს ქალაქ რუსთავში ჩატარდა საქართველოს ჩემპიონატი თავისუფალ ჭიდაობაში ახალგაზრდებს შორის, სადაც შესანიშნავად გამოვიდა ყვარლის სასპორტო სკოლის აღსაზრდელი ანრი სურამლიშვილი.

ანრიმ (68 კგ წონით კატეგორია) პირველ შეხვედრაში 10:0 დაამარცხა თბილისელი ბასილაშვილი, მეორე შეხვედრაში 10:0 ასევე თბილისელი ჭელიძე, მესამე შეხვედრაში 4:2 დაამარცხა თბილისელი ვარდიაშვილი, მეოთხე შეხვედრაში 4:2 დაამარცხა ლანჩხუთელი სურმანიძე, ფინალურ შეხვედრაში კი პირდაპირ გაანადგურა თბილისელი სპორტსმენი გიო ვარცუკაშვილი ანგარიშით13:1 და ღირსეულად მოიპოვა ქვეყნის ჩემპიონის ტიტული და ოქროს მედალი. ახლა ანრი საქართველოს ნაკრებთან ერთად ემზადება ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატისათვის. (მწვრთ. ბ. სამიტაშვილი, ვ. ჭუნაშვილი)

## უნიჭიერესი ლოტბარის ხსოვნისადმი მიძღვნილ საღამოზე



19 აპრილს ყვარლის კულტურის სახლში, ყვარლის მუნიციპალიტეტის კულტურის სამსახური უფროსის, ანსამბლ „ხეუროს“ ხელმძღვანელის, ბატონი ირაკლი მათიკაშვილის ინიციატივითა და ძალისხმევით გაიმართა შალვა ქვაჭრელიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამო, რომელიც საქველმოქმედო ხასიათის იყო.

ამ ღონისძიების მთავარი მიზანი ისევ და ისევ იყო, უდიდესი ადამიანის, შესანიშნავი და გამორჩეული ლოტბარის, შალვა ქვაჭრელიშვილის კიდევ ერთხელ გახსენება და მისი შემოქმედების პოპულარიზაცია.

დამსწრე საზოგადოებას მიესალმა და შალვა ქვაჭრელიშვილის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ ისაუბრა ,ბატონმა ირაკლი მათიკაშვილმა. ასევე მასთან დაკავშირებული მოგონებები გაიხსენეს ქორეოგრაფმა სოსო ფუტკარაძემ, შალვა ქვაჭრელიშვილის ძმისშვილმა კობა ქვაჭრელიშვილმა და აღნიშნეს მისი ღვაწლი ფოლკლორული სიმღერების აღორძინებისთვის.



საღამოს უძღვებოდა კულტურის სახლის სამხატრო ხელმძღვანელი, პოეტი, ქალბატონი იზოლდა იოსებიანი, რომელმაც წაიკითხა შალვა ქვაჭრელიშვილისადმი მიძღვნილი საკუთარი ლექსი.

კონცერტში მონაწილეობდნენ: ფოლკლორული ანსამბლი „ხეურო“ ირაკლი მათიკაშვილის ხელმძღვანელობით, ახმეტის ანსამბლი „ბახტრიონი“ – ხელმძღვანელი ბექა ბიძინაშვილი, ქალთა ანსამბლი „ნელქარისი“-ხელმძღვანელი ქეთევან რუხაძე, ანსამბლი „გურჯაანი“-ხელმძღვანელი ტარიელ ჯახვაძე.

ღონისძიება დასრულდა გენიალური ქართული ფოლკლორული სიმღერით, „ჩაკრულო“, რომელიც ერთად შეასრულა კონცერტის ყველა მონაწილემ.

შემოსული თანხა კი გათვალისწინებულია შალვა ქვაჭრელიშვილის საფლავის რეაბილიტაციისა და ძეგლის მოწყობისთვის.

**ია გიგიაშვილი**

# ქართული ანბანი უცხოელთა თვალით




კონსტანტინე გამსახურდია თავის პუბლიცისტურ წერილში („ისევ ქართული შრიფტის შესახებ“) წერდა:“1919 წელს ბერლინის უნივერსიტეტში მასწავლიდა მთელს მსოფლიოში სახელგანთქმული ფილოლოგი ბარონ ფონ ლიხტენბერგი, ჟურნალ მემნონის რედაქტორი“... შემდეგ მწერალი აღწერს მეცნიერის ქართული ანბანით დაინტერესებას და ამ ანბანის მისეულ შეფასებას: „მე დაუფლებული ვარ მსოფლიოს ბარე ოცდაოთხ ენას და ასეთი ლამაზი ასოები, ასეთი პრაქტიკული, ზუსტად გამომხატველი ყოველი ბგერისა, მე სხვა ალფაბეტი არ მეგულება“...

ამავე თემაზე აქვს მწერალს მოგონება კიდევ ერთ წერილში – „ქართველობა და უცხოეთის გენია“:

„ქართული ალფაბეტი, – მითხრა ერთმა უცხოელმა, ქართულის მცოდნე ორიენტალისტმა, – ჩემთვის ჯერაც ამოუხსნელი სფინქსია.

მარტო ესთეტიური თვალსაზრისით რომ ავიღოთ, ვერც გოტური, ვერც ლათინური და ვერც სანსკრიტული ენების ანბანი შეედრება თქვენს სადასა და ლამაზს, კოხტა ასოებს.

ქართველები, ალბათ, ვერც კი ამჩნევთ ამას. არც ერთი თქვენი ისტორიული მეზობლის, არც სხვა, თქვენგან მოშორებით მცხოვრებ ხალხთა ალფაბეტის გავლენა არ ატყვია მას. იგი სრულიად თავისებურია და საოცარი“.

ქართულ ანბანზე თავიანთი შეხედულებები აქვთ გამოთქმული სხვა, არანაკლებ სახელგანთქმულ უცხოელ მეცნიერებსაც:

„ქართული ანბანი უკლებლივ აკმაყოფილებს ყველა იმ პირობას, რაც საერთოდ ანბანს მოეთხოვება. იგი არის ყველაზე სრულყოფილი ანბანი ანბანთა შორის. ყოველი ბგერა გამოიხატება ცალკეული ნიშნით, ყოველი ნიშანი მუდამ ერთი და იმავე ბგერის გამომხატველია“.

**პ. კ. უსლარი**
**რუსი ენათმეცნიერი (1816-1875)**

* * *

„ქართული ენის ბგერათა სიუხვესა და მრავალფეროვნებას ქართული ანბანი სრულიად და ზუსტად გამოხატავს; ყოველ ცალკეულ ბგერას ცალკეული ასო-ნიშანი შეესაბამება, ყოველი ასო-ნიშანი ზუსტად და მკაფიოდ გამოითქმის; ამ თვალსაზრისით ვერც ერთი სხვა ანბანი ქართულ ანბანს ვერ შეედრება“.

**უილიამ ედუარდ დევიდ ალენი**
**ინგლისელი ორიენტალისტი (1901-1973)**

* * *

ქართული ენით ყველაფერი გამოითქმება, რაც დედამიწაზე შეიძლება გამოითქვას რაგინდარა ენით. აზრი არ მოიპოვება არც ერთ ენაზე, რუსეთის ან დასავლეთის ევროპისა, რომ არა თუ ქართველმა სავსებით ვერ გამოთქვას, არამედ მხატვრულ ყალიბში ვერ ჩამოასხას. ქართული ენა, განსაკუთრებით, ცოცხალი ქართული ენა, მაღალმხატვრულად გამოსახავს ყოველ აზრს და დაუმახინჯებლად და შეურყვნელად გადმოსცემს, ისე მდიდრულია ქართული ენა. შეიძლება ითქვას, შინაგანი თვისებებით იგი მსოფლიო ენაა.

**ნიკო მარი**

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. დამფუძნებელია ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულო, ხოლო გამომცემელი შპს „მედია ცენტრი“. გაზეთში გამოქვეყნებული წერილების ავტორთა თვალსაზრისი შესაძლოა არ ემთხვეოდეს რედაქციისას. ავტორები თავად აგებენ პასუხს მასალაში მოტანილი ფაქტების, არგუმენტებისა თუ ციტატების სიზუსტეზე. შემოსული წერილები ავტორებს არ უბრუნდებათ.

დირექტორი
ალექსანდრე გიგილოშვილი
მოადგილე
ნუგზარ ღონიაშვილი

პასუხისმგებელი მდივანი
ია გიგიაშვილი
კორესპონდენტი
დალი ტატულიშვილი

რედაქციის მისამართი:
ქ. ყვარელი, კუდიგორის №2
საკონტაქტო ტელეფონი:
22-01-86